# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 13 აპრილი. 2017 წ. №78 (8215), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




④ **დავით ქიქინაძე:** ნუ გვექნება იმედი, რომ რუსეთს სინდისი შეაწუხებს!..

**ვახტანგ ყოლბაია:** იდეები არის, მაგრამ ვინ შეაბამს კატას ეჟვანს? ⑤



## თბილისის მუნიციპალური საავტომობილო ბაზის მშენებლობას 13 მილიონი ლარი მოხმარდება

**პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მონაწილეობა მიიღო დიდ დიღომში ახალი მუნიციპალური საავტომობილო ბაზის პრეზენტაციაში, რომელიც თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის განახლებულ შემადგენლობას მოემსახურება.** თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით 2016 წლიდან ახორციელებს თანამედროვე მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების პროექტს („თბილისის ავტობუსების პროექტი"), რომლის მიზანია ავტობუსების პარკის განახლება ევროსტანდარტების შესაბამისი, ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ადაპტირებული ავტობუსებით.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მადლობა გადაუხადა ევროკავშირს, EBRD-ს და აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის ფონდის (E5P) ყველა დონორს ფონდში შეტანილი წვლილისა და პროექტების მხარდაჭერისთვის და ასევე, მზაობისთვის მხარი დაუჭირონ საქართველოში ენერგოეფექტური და გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებას. მისი თქმით, აღნიშნულ პროექტში 7 მლნ ევრო ევროკავშირის გრანტს წარმოადგენს, რაც არის საჩუქარი და ევროკავშირის მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აღნიშნულ პროექტში.

**პრეზენტაციაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანოშ ჰერმანი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში, თბილისის მერი დავით ნარმანია და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი. ოფიციალური მისალმებების შემდეგ საპატიო სტუმრებმა ავტობაზის მშენებარე ობიექტი დაათვალიერეს. 6 ჰაზე მდებარე ავტობაზის კომპლექსის მშენებლობა 13 მლნ ლარი დაჯდება.**

ქვეყანაში 40 000 სამუშაო ადგილი შეიქმნება ②

თბილისის მერიის გასაგონად!



**ვადიმ ანასტასიადი:** გაზეთი თევზის გასახვევი ქაღალდი არ არის... ③

ბომბები – გერმანიაში, მეხი – იტალიაში ⑩



## „ვინ აღგზარდათ...?" ლავროვმა ამერიკელ ჟურნალისტებს მანერები დაუწუნა

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ამერიკელ ჟურნალისტებს შენიშვნა მისცა და უთხრა, რომ მათ მანერები არა აქვთ.** ინციდენტი ლავროვისა და ტილერსონის შეხვედრის დაწყებამდე მოხდა. ჟურნალისტებმა დიპლომატების დანახვისთანავე შეკითხვების ხმამაღლა დასმა დაიწყეს, რამაც ლავროვის გაღიზიანება გამოიწვია.

**„ვინ აღგზარდათ...ვინ გასწავლათ ეს მანერები..."** – განაცხადა ამერიკელი ჟურნალისტების მიასამართით ლავროვმა, რის შემდეგაც მან ჟურნალისტს მიმართა: **„ახლა შეგიძლიათ, იყვიროთ".**

## ლავროვი სოხუმში ჩადის!!!

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი 18-19 აპრილს ოკუპირებულ აფხაზეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავა. საგარეო უწყების წარმომადგენლის მარია ზახაროვას განცხადებით, ლავროვი მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთში რუსეთის საელჩოს ახალი შენობის გახსნაში.**



19 აპრილს კი ლავროვი საოკუპაციო რეჟიმის ე.წ პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდება. ზახაროვას განცხადებით, ვიზიტისას განხილული იქნება „ორ ქვეყანას" შორის ურთიერთობები და აფხაზეთისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები.

## სპაისერი ბოდიშს იხდის

**თეთრი სახლის პრეს-მდივანი ბოდიშს იხდის. უხერხულ სიტუაციაში შონ სპაისერი მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ასადის დონემდე ნაცისტური გერმანიის ლიდერი ადოლფ ჰიტლერიც არ დაცემულა და ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია.** ამის შემდეგ ჟურნალისტები იმით დაინტერესდნენ, იცოდა თუ არა საერთოდ სპაისერმა ჰოლოკოსტისა და გაზის კამერების შესახებ. მოგვიანებით თეთრი სახლის მდივანმა ინტერვიუ CNN-ს მისცა. **„ეს ჩემი შეცდომაა და ბოდიშს ვიხდი. ვწუხვარ, რომ პრეზიდენტს იმედები გავუცრუე"...**






# გიორგი კვირიკაშვილი: ქვეყანაში 40 000 სამუშაო ადგილი შეიქმნება



**„დარწმუნებული ვარ, საქართველოს ძალიან საინტერესო ხვალინდელი დღე ელოდება“,** — ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა გუშინდელ პრეზენტაციაზე გააკეთა.

**საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მიმართულების — სივრცითი მოწყობის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების სტრატეგიული გეგმის პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო. 2500 პროექტისთვის განკუთვნილი უპრეცედენტო მოცულობის ინვესტიციიდან — 10 მილიარდი ლარიდან, მხოლოდ 2017 წელს 1 მილიარდ 260 მილიონი ლარი დაიხარჯება.**

კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ დაგეგმილი სტრატეგიული და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად, ქვეყანაში 40 000 სამუშაო ადგილი შეიქმნება, ხოლო ქვეყანა უფრო ძლიერი და ეკონომიკურად განვითარებული გახდება.

**„ჩვენმა ქვეყანამ უკვე შექმნა წარმატების ძალიან მნიშვნელოვანი ისტორია: ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, ჩვენი ქვეყანა დავაყენეთ დემოკრატიული განვითარების გზაზე და სტაბილური განვითარებით ვქმნით ახალ რეალობას. დღეს ჩვენ ნამდვილად გვაქვს შესაძლებლობა, შევქმნათ წარმატების სრულიად ახალი ისტორია, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს ექნება ყველა პირობა ღირსეული ცხოვრებისთვის. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის განვითარების ხედვა, ის ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ შეიმუშავა, გარდამტეხ როლს შეასრულებს საქართველოს სწრაფ განვითარებაში, სწრაფ წინსვლაში და სრულიად ახალ შესაძლებლობებს შექმნის ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის“...**

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ქვეყნის თანმიმდევრული და სწრაფი განვითარების მყარ საფუძველს შექმნის სივრცითი მოწყობის გეგმა, რომელშიც მთლიანად არის გათვალისწინებული საქართველოს, მისი თითოეული რეგიონისა და ადგილის უნიკალურობა და პოტენციალი. გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ საკმარისი რესურსი არსებობს, რათა რეგიონები თანაბრად იყოს განვითარებული, რაც სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის.

**„21-ე საუკუნეში გეოგრაფიული მდებარეობა აღარ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ჯანდაცვის, განათლების მიღების, სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის, ბიზნესის კეთებისა თუ სხვა თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია, ხელმისაწვდომი პირობები შევუქმნათ ჩვენს მოქალაქეებს ქვეყნის ნებისმიერ წერტილში“,** — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

# ვაშინგტონში აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის შეხვედრა გაიმართა

**აშშ-ში, ქ. ვაშინგტონში აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა. აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან ამ ფორმატში შეხვედრა პირველად ჩატარდა.**

საქართველოს მხრიდან სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეები იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე. ქართული მხრიდან სამუშაო კომისიის ჯგუფში ასევე შედიოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძე, ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეები და სხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები. ამერიკული მხრიდან სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეები იყვნენ ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი პატრიშა ჰესლეჩი და ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის მოქმედი თანაშემწე მარგოტ ელისი.



შეხვედრის დღის წესრიგი ძალიან დატვირთული იყო და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საქართველოში ბოლო პერიოდში ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ჩატარებული რეფორმები; საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები სხვადასხვა ქვეყანასთან; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაცია და თანამშრომლობა მომავალში პროგრესის მისაღწევად; სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის (2015-2020 წწ.) განხორციელება; სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების გაძლიერება; ორმხრივი ეკონომიკური და ბიზნესურთიერთობების განვითარება; ორმხრივი სავაჭრო მისიების ორგანიზება; ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის ფორმატის გაძლიერება და ფორმატის ფარგლებში აქტივობების გაგრძელება/განვითარება; მეწარმეობის, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების მხარდაჭერა და განვითარება; თანამშრომლობა ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროში; რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია; ანაკლიის პორტის მშენებლობის მხარდაჭერა და ა.შ.

# დიმიტრი ქუმსიშვილი: მომავალ წლებში, ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 10 მილიარდ ლარამდე დაიხარჯება



**„მომავალ წლებში, ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობაზე 10 მილიარდ ლარამდე დაიხარჯება, რაც გაზრდის მობილობას ქვეყნის შიგნით და გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალს“,** — ამის შესახებ განცხადება პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ანგარიშისა და სამომავლო გეგმების პრეზენტაციაზე გააკეთა, რომელიც გუშინ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა.

როგორც მან აღნიშნა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გეგმა გაწერილია კონკრეტულ ვადაში და სრულ თანხვედრაშია მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის სივრცითი განვითარების მიმართულებასთან, რაც მისი თქმით, ჩვენი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. **„ჩვენ ძალიან კარგი სტარტი ავიღეთ წლის დასაწყისიდან. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2017 წლის პირველ კვარტალში 105%-ით შეასრულა გეგმა. ესაა 200 მლნ ლარზე მეტი, რაც აბსოლუტურად გვარწმუნებს, რომ ჩვენი დაგეგმილი პროექტები ამ მიმართულებით, აუცილებლად შესრულდება“...**

# საქართველოს მთავარი საფრთხე...

პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის ანგარიშის წარდგენა დაიწყო. ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მთავარი გამოწვევა ოკუპირებული ტერიტორიების არსებობაა.

**„ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში დიდი ოდენობით რუსული სამხედრო კონტინგენტი და მზარდი მილიტარიზაცია ქართული სახელმწიფოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს“,** — ნათქვამია ანგარიშში.

ამავე ანგარიშით, 2016 წელს კონფლიქტის ზონაში საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით 134 ადამიანი დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს, რომელთაგან 133 გათავისუფლდა, ხოლო 1 პატიმრობაში რჩება. ხოლო, აფხაზეთის მხარეს სუს-მა 193 უკანონო დაკავება დაარეგისტრირა.

2016 წელს აღდგა IPRM-ის შეხვედრები გალსა და ერგნეთში. შეხვედრის ფარგლებში შეიქმნა ცხელი ხაზი, რაც 24-საათიანი კავშირის საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო მთავრობებს შორის. სუს-2016 წელს ცხელი ხაზი 1591-ჯერ ამოქმედდა.

# პრეზიდენტმა 91 მსჯავრდებული შეიწყალა



**შეწყალებულთაგან 62-მა სასჯელაღსრულების დაწესებულება გუშინვე დატოვა, 29-ს კი სასჯელი შეუმცირდა. ამის შესახებ შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. კომისიამ 4-დან 6 აპრილის ჩათვლით იმუშავა და სულ 579 პირის საქმე განიხილა.**

**ქორიძის ინფორმაციით, შეწყალებულთა შორის ოთხი ქალია.**

# სტრასბურგის სასამართლოზე ზემოქმედება განხორციელდა

ვიცე-პრემიერი კალაძე იზიარებს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მოსაზრებას, რომ „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოზე ირიბი ზემოქმედება განხორციელდა:

**„ის ყველაფერი, რაც ამ საქმის ირგვლივ კეთდებოდა, შეიძლება განხილული იქნას ზემოქმედებად. ჩვენ თუ გადავხედავთ ქრონოლოგიას ამ საქმეების მიმართ, დაწყებული ადგილობრივ მოსამართლეებზე ზემოქმედებით — ამის ფაქტები არსებობს, როდესაც მიდიოდა სიტყვიერი შეურაცხყოფები, გინებები და ა.შ... შემდეგ იყო არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის მხრიდან გაგზავნილი წერილები. ეს ყველაფერი შეიძლება ითქვას, რომ არის ირიბი ზემოქმედება. პრეზიდენტმაც გააგზავნა წერილი, თუ არ ვცდები“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

# მიშას რეაქტიული ფსიქოზი კიევური გაზაფხულის ბრალია!

## სააკაშვილი დონბასს დანარჩენი უკრაინისგან დიდი კედლით ყოფს!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ოკუპირებულ დონბასსა და დანარჩენ უკრაინას შორის კედლის აშენებას აპირებს. ამის შესახებ მან სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

**„მომხრე ვარ, ავაშენოთ დიდი კედელი (არა იაცენიუკისნაირი, არამედ ნამდვილი) და დროებით გამოვყოთ დონბასის ოკუპირებული ნაწილი, რათა ვკონცენტრირდეთ დანარჩენ უკრაინაზე. ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ოკუპირებულ ტერიტორიებს, მას შემდეგ, რაც დავამარცხებთ კორუფციას და დავიწყებთ სწრაფ განვითარებას. თუმცა, ის უფრო მალე რომ დავიბრუნოთ, ცვლილებები უპირველესად უნდა მოხდეს კიევში“,** — აღნიშნულია სააკაშვილის განცხადებაში.



# კახი კალაძე: გამოდის ვიღაც გაქსუებული კომპანიის ხელმძღვანელი და იღებს არასწორ გადაწყვეტილებებს!..

ენერგეტიკის მინისტრი სენაკში, გაზგამანაწილებელი კომპანიის მიერ ბუნებრივ აირზე ფასის გაზრდას მიუღებელს უწოდებს:

**„სენაკში, გამანაწილებელმა კომპანიამ, „გაზკო პლიუსი“, თუ არ ვცდები, მიიღო გადაწყვეტილება, რომ 68 თეთრი გაეხადა ბუნებრივი აირის ფასი მოსახლეობისთვის. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი! ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ვცდილობთ, ბუნებრივ აირზე ეს სოციალური ფასი რაც არის ისე გადანაწილდეს, რომ ყველამ თანაბრად მიიღოს ეს შეღავათი. აქ გამოდის ვიღაც გაქსუებული კომპანიის, არ ვიცი მენეჯერი, ხელმძღვანელი და იღებს ამ გადაწყვეტილებებს. ეს ჩვენ გვაძლევს იმის საბაბს, რომ ნაწილობრივი დერეგულირება, რაც არის დღეს განსაზღვრული კანონით, გავაუქმოთ და მარეგულირებელმა კომისიამ**



**ერთიანად დაადგინოს ტარიფები მოსახლეობაზე, რომელიც იქნება თანაბარი“,** — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, საკითხის დეტალებს მოიკითხავს და ყველას მოეთხოვება პასუხი! ამ ფაქტთან დაკავშირებით ენერგეტიკის სამინისტრო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

* * *

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო სრულად იზიარებს მოსახლეობის განწყობას და შეშფოთებას იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც გაზგამანაწილებელი კომპანიის „გასკო პლიუსის“ მიერ იქნა მიღებული — სენაკის მუნიციპალიტეტში, — ბუნებრივი აირის ტარიფი 68 თეთრამდე გაეზარდა. ეს ყველაზე მაღალი ტარიფია მთელ საქართველოში. ეს არის მინიმუმ უსამართლო გადაწყვეტილება, ვინაიდან სახელმწიფო მთელი ამ წლების განმავლობაში და დღესაც, მთელი მოსახლეობისთვის ინარჩუნებს სოციალურ ფასს გაზზე, გარე ფაქტორების და ბაზარზე არსებული ვითარების მიუხედავად ჩვენ ვახერხებთ იმას, რომ ეს შეღავათი — სოციალურ გაზზე მიიღოს თოთოეულმა ოჯახმა.**

**სამინისტროს დაწყებული აქვს ამ საკითხზე მუშაობა, როგორც აქამდე არაერთხელ იქნა გაცხადებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაწილობრივი დერეგულირების პრაქტიკის გაუქმება და შესაბამისად მოსახლეობისთვის ტარიფის დადგენა მარეგულირებელი კომისიის მიერ, ეს გადაწყევტილება მომავალში გამორიცხავს მსგავს უსამართლო და მოსახლეობისთვის მოულოდნელ გადაწყვეტილებებს.**

# საქართველოს პენიტენციური სისტემის რეფორმას ბრიუსელში დადებითად აფასებენ

**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გამართულ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე საქართველოს პენიტენციურ სისტემაში გატარებული და მიმდინარე რეფორმის საკითხზე სიტყვით გამოვიდა.** მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული რეფორმები. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ნატოს შტაბ-ბინაში საქართველოდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს იწვევენ.

**შეხვედრაზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა მოკავშირეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა სისტემაში ბოლო წლებში განხორციელებული, მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი რეფორმების თაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება იმ სისტემურ რეფორმებზე გამახვილდა, რომლის შედეგადაც პენიტენციურ სისტემაში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. კერძოდ, ყურადღება იქნა გამახვილებული პატიმრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, პატიმრების რისკების მიხედვით კლასიფიცირების, არასრულწლოვანთა და ქალთა სასჯელაღსრულების პირობების გაუმჯობესების მიზნით გატარებულ ფართომასშტაბიან რეფორმებზე.**

მოკავშირეებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის პროცესში მოკლე ვადებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი. განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის მიზნით, ასევე, შინაპატიმრობის პრაქტიკის დანერგვისა და მსჯავრდებულთათვის განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. შეხვედრის ბოლოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა პასუხი გასცა მოკავშირეების მიერ დასმულ შეკითხვებს.

**სასჯელაღსრულების მინისტრმა, ნატო-ს შტაბ-ბინაში ვიზიტის ფარგლებში, ასევე გამართა შეხვედრა ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე ალეხანდრო ალვარგონზალესთან.**



# ფსიქოტროპული მედიკამენტების შემოტანაზე კვოტები დაწესდა

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ურთიერთ-**




**შეთანხმების დოკუმენტს მოეწერა ხელი.**

საქართველოში ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე შიდა კვოტები დაწესდა. კვოტები განისაზღვრა 6 ნივთიერებაზე, კერძოდ: **გაბაპენტინზე, ბაკლოფენზე, ზოპიკლონზე, ზალეპლონზე, ტროპიკამიდსა და დექსტრომეტორფანზე.**

კვოტების დადგენის მთავარი მიზანია ფსიქოტროპულ ფარმაცევტულ პროდუქციაზე ქვეყნის შიგნით შემოტანის რაოდენობის განსაზღვრა. ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს მსგავსი სახის მედიკამენტების არასაჭიროებისამებრ მოხმარების შეზღუდვას.

**ბოლო პერიოდში არაერთი ცვლილება განხორციელდა ე. წ. „საათიაქო ნარკომანიის“ წინააღმდეგ, ამ მიმართულებით გატარებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ინტრავენური საათიაქო ნარკომანია, თუმცა ტაბლეტირებული ფორმა კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. შიდა კვოტების განსაზღვრა ე. წ. საათიაქო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.**

ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე შიდა კვოტების განსაზღვრის გადაწყვეტილება, სპეციალურ საბჭოზე მიიღეს, რომლის თავმჯდომარეა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და თანათავმჯდომარე შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი.

# თეატრების ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იყო, როგორ გაუმკლავდებოდნენ ბიუჯეტის შემცირებას

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი აცხადებს, რომ მსახიობებისთვის ხელფასების შემცირება არ მომხდარა ყველა თეატრში.



**„რაც შეეხება მსახიობების ხელფასების შემცირებას, ეს არ მომხდარა ყველა თეატრში. ის თუ როგორ გაუმკლავდებოდნენ თეატრები წლიური ბიუჯეტის ჯამურად შემცირებას, ეს თვითონ ხელმძღვანელის პრეროგატივა და ინდივიდუალური გადასაწყვეტი იყო. ზოგმა ეს პრობლემა გადაწყვიტა ადმინისტრაციული ან სხვადასხვა ხარჯების შემცირების მეშვეობით და ხელფასები არ შეუმცირა მსახიობებს. ზოგმა შეუმცირა იმ მსახიობებს, ვინც ნაკლებად ან საერთოდ არ იყვნენ დაკავებული სპექტაკლებში. ზოგმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველასთვის შეემცირებინა“,** — განაცხადა მინისტრმა.

# ქეთი დოლიძე მინისტრის წინააღმდეგ

გავრცელებულ ინფორმაციაზე იმასთან დაკავშირებით, რომ რეჟისორი ქეთი დოლიძე გეგმავს კულტურის სამინისტროს სასამართლოში უჩივლოს, უწყების პირველი პირი მცირე კომენტარს აკეთებს:

**„ეს ქალბატონი ქეთის უფლებაა, თუმცა მე ვფიქრობ, ამ ნაბიჯით ის კიდევ ერთხელ თავს შეირცხვენს და კიდევ ერთხელ გამოჩნდება ის, რომ ბევრი გარემოება, რომელზეც ის საუბრობს ბოლო ხნის განმავლობაში უბრალოდ ტყუილია“,** — აცხადებს მიხეილ გიორგაძე.

ქეთი დოლიძე კულტურის სამინისტროს თეატრების ბიუჯეტის შეცირების გამო აკრიტიკებს და Facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს: **„არაფერი გამოგივა, უსინდისო ადამიანო! თუმანიშვილის თეატრი უმწიკვლოდ მუშაობს და საინტერესოა, თუ მარტო ხელფასის ფული გვაქვს, მე ვაკლებ ფულს ზურაბ ყიფშიძეს? ამ ადამიანს მე სასამართლოში ვუჩივლებ! აუცილებლად! ბატონო პრემიერ-მინისტრო! როდემდე უნდა დაგვცინოს მინისტრმა?“,** — წერს ქეთი დოლიძე.

## თბილისის მერიის გასაგონად

# გაზეთი თევზის გასახვევი ქაღალდი არ არის...

**გარევაჭრობასთან ხელჩართული ბრძოლისას თბილისის მერიას ერთი დიდი შეცდომა მოუვიდა — ქუჩის მოვაჭრეებს საგაზეთო ჯიხურებიც მიაყოლეს. ამრიგად, თბილისის მაშინდელი მერის გიგი უგულავას მიერ 6 წლის წინათ გაზეთების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა საბოლოოდ დასრულდა და დედაქალაქის ქუჩებიდან ჯიხურები უკვალოდ გაქრა.**

დიდი პათოსით ვაცხადებთ: საქართველო ევროპაა, თბილისი კი ევროპული სახელმწიფოს დედაქალაქიო. მაგრამ სად ნახეთ, ძვირფასო მკითხველო, ისეთი ევროპული სახელმწიფო და მისი ისეთი დედაქალაქი, სადაც ასეთი ბარბაროსული საშუალებებით ანგრევენ ხიდებს პრესასა და მკითხველს შორის. გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ეს. 2011 წელს თბილისის ყოფილი მერის ბატონ უგულავას გარემოცვაში უცებ გამოაცხადეს, საგაზეთო ჯიხურები დედაქალაქის გარეგნულ სახეს ამახინჯებსო. და საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად, რამდენიმე დღეში დიდძალი საგაზეთო ჯიხური მოსპეს. სრულიად გასაგებია, რომ ამ აქციის ჭეშმარიტი მიზანი იყო, პრესისთვის გადაეჭრათ მკითხველთან მისასვლელი გზა.

რა გამოვიდა აქედან? გავიხსენოთ: ადრე თქვენი სახლის გვერდით იდგა ჯიხური. მასში გაზეთების გამყიდველი ზამთარში ყინვას აფარებდა თავს, ზაფხულში — ხვატს, პარალელურად კი თავის სამუშაოს ასრულებდა. ძველ ადგილებში ჯიხურები უკვე დიდი ხანია, აღარ დგას. გაზეთები ქუჩებში იყიდება ღია სტენდებზე. ბუნებრივია, ბეჭდვითი პროდუქციის გასაღება დაეცა და ეს დაცემა გრძელდება. რადგან ზამთარში თოვლი და ყინვაა, ზაფხულში ცხელა, გაზაფხულზე და შემოდგომაზე კი წვიმა მოდის. აი ასეთია დღეს ჩვენი დედაქალაქი — თითქმის გაზეთების ჯიხურის გარეშე.

2012 წელს სააკაშვილი და მისი გუნდი ამომრჩეველმა „დასასვენებლად“ გაუშვა, ხოლო 2014 წელს მოსახლეობამ თბილისის პარლამენტი აირჩია. მოსალოდნელი იყო, რომ მდგომარეობა გამოსწორდებოდა და დემოკრატიული გზით არჩეული ქალაქის ხელისუფლება აღმოფხვრავდა ავტორიტარული რეჟიმის მიერ შობილ პრობლემას, მაგრამ — ამაოდ“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ არსებული არანორმალური პრაქტიკა ხელს აძლევს დედაქალაქის ამჟამინდელ ხელისუფლებასაც. გამოდის, რომ პრესამ ამჯერადაც ვიღაცას თავი მოაბეზრა. ამაზე მეტყველებს ჩინოვნიკთა მორიგი ნოვაცია — დედაქალაქის ქუჩებიდან იღებენ საგაზეთჟურნალო სტენდებს. განმარტება თითქოს „მისაღებია“: ადგილობრივი მცხოვრებნი საყვედურობენ, რომ ქუჩის ვაჭრობა ქალაქს ანაგვიანებს. მაგრამ როდიდან უთანაბრდება ქუჩაში ბეჭდვითი პროდუქციის გასაღება ხილ-ბოსტნეულითა და ტანსაცმლით ვაჭრობას. ამ „თანაბრობის“ შედეგი თვალსაჩინოა: ჟურნალ-გაზეთების გასაღება თბილისში... 70 პროცენტით შემცირდა! მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცას არც ეს აძლევს ხელს და სურს, საერთოდ ჩააგდებინოს ენა თავისუფალ პრესას.

არიან ჭკუის კოლოფები, რომლებიც თვლიან, ბეჭდური მედიის გასაღება მაინც ქუჩის ვაჭრობას უნდა მიეკუთვნოსო. მათი აზრით, გაზეთი ეს უბრალოდ ქაღალდია, რომელშიც შეიძლება ქაშაქის ან ძეხვის გახვევა. ყოველმხრივ ჩანს, რომ სწორედ ისინი „უკვეთავენ მუსიკას“ თბილისის მერიაში.



**ვადიმ ანასტასიადი,**
**გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი**



# დავით ჭიჭინაძე: ნუ გვექნება იმედი, რომ რუსეთს სინდისი შეაწუხებს!..

**საპარლამენტო** უმრავლესობის წევრმა **დავით ჭიჭინაძემ** „რეპორტიორთან“ პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ პრეზიდენტის გამოსვლა ძალაუფლებას ჩაბღაუჭების მცდელობაა. მან IRI-ის კვლევებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ შედეგები რეალობასაა აცდენილი.

**— როგორ შეაფასებთ 7 აპრილს პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას? როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა საკითხები, რომელზეც გიორგი მარგველაშვილს აქცენტი უნდა გაეკეთებინა, თუმცა, არ უსაუბრია?**

— პრეზიდენტი, მოგეხსენებათ, ხელისუფლების ნაწილია და, შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებზე უნდა საუბრობდეს, ქვეყნის განვითარების გეგმაზე. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა უფრო მეტი აქცენტი კრიტიკაზე გააკეთა, თითქოს თვითონ ხელისუფლების ნაწილი არ იყოს და ქვეყნის ცხოვრებაში არ მონაწილეობდეს. ის, რაც მან გააკეთა, ჰგავს საკუთარი ძალაუფლებას ჩაბღაუჭებას, რომ მომავალში ამ ქვეყანაში როგორმე კიდევ იყოს. მისი სურვილია, სააკაშვილის დატოვებული კონსტიტუციის ის ნაწილი იყოს შენარჩუნებული, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ქვეყანაში გაურკვევლობას იწვევს

**— საკუთარი ძალაუფლების ჩაბღაუჭება ახსენეთ და, როგორ ფიქრობთ, მისი კამპანია „კონსტიტუცია ყველასია“ წინასაარჩევნო კამპანია ხომ არ არის?**

— ბევრი ხვდება, რომ ამ ადამიანს დაწყებული აქვს საარჩევნო კამპანია. ალბათ, გახსოვთ 2013 წელს მისი წინასაარჩევნო კამპანია, როდესაც ამბობდა, რომ პლასტილინი იყო და, სადაც მიაგდებდნენ, იქ იქნებოდა, ახლა ეტყობა, აღარ არის პლასტილინი და სხვა მოტივაცია გაუჩნდა ცხოვრებაში, მოეწონა პრეზიდენტობა. მან დაიწყო საარჩევნო კამპანია, რომლითაც ცდილობს, ხალხს დაუმტკიცოს, რომ რაღაცას წარმოადგენს... ვნახოთ, არჩევნები ყველაფერს წარმოაჩენს.

**— IRI-ის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? რამდენად სანდოა ის მონაცემები, რომელიც კვლევის შედეგებშია ასახული?**

— ყველაზე შემაშფოთებელი თვითონ ეს ინსტიტუტია, რომელიც თავის დროზე ძალიან დიდ ნდობას იმსახურებდა. ბოლო წლებში კი აცდენილია რეალობას, რადგანაც არცერთმა არჩევნებმა მისი კვლევები არ დაადასტურა.

როგორ შეიძლება, მარგველაშვილი ყველაზე რეიტინგულ პიროვნებად აღიარდეს ჩვენს ქვეყანაში? მკვლევარის დიდი პროფესიონალიზმი არ სჭირდება იმას, რომ ეს ყველაფერი რეალობასაა აცდენილი.

**— სამთავრობო ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით რას იტყვით, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს იდეა?**

— თუ დავაკვირდებით, ყველა განვითარებულ ქალაქს აქვს მსგავსი ტერიტორიები. ზოგადად, ეს არ არის მარტო სამთავრობო ქალაქი, ზოგან სავაჭრო ცენტრია, ზოგან კიდევ ბიზნეს-ცენტრი, რადგანაც ადამიანებს ამის მოთხოვნილება გააჩნიათ, ასე უმარტივდებათ ცხოვრება და თვითონ ქალაქის განვითარებიაშიც ძალიან პოზიტიურ როლს ითამაშებს. ეს ყველაფერი ეკონომიკის თვალსაზრისითაც პლუსია, წახალისებაა.

რა თქმა უნდა, თუ ჩვენს ქალაქში გაჩნდება ადგილი, სადაც ნებისმიერი ადამიანი მომსახურებას ერთიან სივრცეში მიიღებს, კარგია, შესაბამისად, ეს სატრანსპორტო მოძრაობასაც ხელს შეუწყობს. მოგეხსენებათ, უწყებები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და, როდესაც ადამიანი ერთი სამინისტროდან მეორეში გადადგილდება, იქმნება საცობები. ალბათ, სამთავრობო ქალაქი რაღაც პროცენტით საცობებს შეამცირებს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ 7 თვითმმართველ ქალაქს უნდა შეუჩერდეს სტატუსი, როგორ ფიქრობთ, საჭიროა ამ ღონისძიების გატარება?**

— საერთოდ, არ ვიცი, იგეგმება თუ არა სტატუსის გაუქმება, მაგრამ არ შეიძლება პატარა ქალაქში იყოს გამგებელი, რაიონის საკრებულო, მერი და ქალაქის საკრებულო, ყველაფრისთვის მავნებელია ეს. არ შეიძლება, ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდოთ მსგავსი სიტუაციით, ანუ მოქალაქეებმა არ იციან, მათ რაიონში ვინ არის უფრო მთავარი. ჩვენს ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ასე დაწვრილმანდეს.

**— გარევაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს გადაწყვეტილება?**

— საკმაოდ პოზიტიური ნაბიჯია. მაშინ, როდესაც ტურიზმი ასე ვითარდება, წარმოიდგინეთ, რა რეაქცია ექნება ტურისტს, რომელიც დაინახავს, რომ ქუჩაში, სიბინძურეში იყიდება პროდუქტი, რა გარანტია აქვს მას, რომ რესტორანში და თუნდაც სასტუმროში იმავე პროდუქტს არ მოიხმარდნენ?

ვიცი, რომ მოვაჭრეებისთვის ადგილები გამოყოფილია და, არა მგონია, ვაჭრობას იქ რაიმე ხელს უშლიდეს. აქ გადახდის პრობლემაა, დღეში 3 თუ 5 ლარზეა ლაპარაკი. შემოსავალი რომ არ ჰქონდეთ, არავინ დაჯდებოდა იქ სიცივესა და ქარში.

გარევაჭრობა არაა კარგი არც ეკონომიკის, არც ტურიზმის და არც ჰიგიენის თვალსაზრისით.

**— პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?**

— დავიღალეთ ყოველწლიური პირდაპირი არჩევნებით. ქვეყანას ძალიან ძვირი უჯდება. გამოდის, რომ პრეზიდენტი ქვეყანას დღეს ოპოზიციაში უდგას. პრეზიდენტი თუ პარლამენტის და მმართველი ძალის წარმომადგენელია, მაშინ აირჩევს ხომ მმართველი ძალა? საერთოდ, ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით ავირჩიოთ.

**— როგორ ფიქრობთ, ვიზალიბერალიზაციის ძალაში შესვლა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობის დალაგებაში თუ დაგვეხმარება?**

— ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით ვიზალიბერალიზაცია კი არა, მათთან საუბარი დაგვეხმარება, რომელიც სხვადასხვა ფორმატში მიმდინარეობს და ეს ფორმატი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეზობელი რუსეთის ფედერაცია, ჩვენს მიმართ მეგობრულად განწყობილი არ არის, ურთიერთობის მაინც მეტი ფორმატი უნდა იყოს, ნუ გვექნება იმედი, რომ რუსეთს სინდისი შეაწუხებს. ასე დიალოგით კი შესაძლოა, რამეს მივაღწიოთ.

**ესაუბრა**
**პლატონ რუსიშვილი**

# ღვინის ფალსიფიკაციის სახეები საქართველოში

## როგორ ამოვიცნოთ ფალსიფიცირებული ღვინო?

**ქართული მეღვინეობა ათწლეულებია, ფალსიფიკაციის პრობლემის წინაშე დგას და ეს, პირველ ყოვლისა, ქართული ღვინისა და, ზოგადად, მეღვინეობის პრესტიჟს ვნებს. გარდა ამისა, ფალსიფიკატორები მომხმარებლის გემოვნების დეგრადაციასაც „უწყობენ ხელს“. დღეს ხშირად ნახავთ ადამიანებს, რომლებიც სრულიად გულწრფელად ამბობენ, რომ ნატურალურ ღვინოს გემოთი ე.წ. გაკეთებული ღვინო ურჩევნიათ და პირადი მოხმარების დროსაც უპირატესობას ფალსიფიცირებულ სასმელს ანიჭებენ.**



1998 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ „ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში“ ზუსტად და ლაკონიურადაა განმარტებული, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ღვინო ფალსიფიცირებულად და რა შემთხვევაში უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული ბერკეტებისა და მექანიზმების ამოქმედება. ამ კანონმა შემდეგ რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. საბოლოო რედაქციის მიხედვით, „ფალსიფიცირებულად ჩაითვლება ღვინო/პროდუქცია, თუ:

**ა) მას დამატებული აქვს ისეთი ნივთიერება, რომელიც არ არის დაშვებული კანონით ან/და ნებადართული ტექნიკური რეგლამენტით, ან პირდაპირ აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით;**

**ბ) მისი წარმოების პროცესში გამოყენებულია დამუშავების ისეთი მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით;**

**გ) მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მიზნით მის ეტიკეტზე ან თანმხლებ დოკუმენტებში ადგილწარმოშობის დასახელება და სასაქონლო ნიშანი გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.**

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი მიზანი ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვაა. მიუხედავად იმისა, რომ გამყალბებლების მიმართ კანონი ერთმნიშვნელოვნად მკაცრია, თითოოროლა შემთხვევის გარდა, ფაქტობრივად ვერავინ გაიხსენებს გამყალბებლების მასობრივად გამოვლენის შემთხვევებს. განსაკუთრებით კი ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როდესაც ღვინის ფალსიფიკაციამ განსაკუთრებულად დიდ მასშტაბებს მიაღწია.

**ფალსიფიკაციას პირველ რიგში მოხმარებლები, კონკრეტულად კი მომხმარებელთა ნაკლებინფორმაციულობა უწყობს ხელს. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ეკონომიკური მხარეც. ყველამ კარგად ვიცით, ჩვენს ქვეყანაში ქელეხების, ქორწილების, ე.წ. ორმოცებისა და მსგავსი დღეების აღნიშვნის ტრადიციების შესახებ. ბევრ ოჯახს არ გააჩნია საიმისო სახსარი, რომ ნატურალური ღვინით გაშალონ ასეულობით ადამიანზე სუფრები. ამიტომ იაფფასიან, გაკეთებულ ღვინოს ანიჭებენ უპირატესობას. ტრადიციებს არაფერს ვერჩით, მაგრამ ფალსიფიკაციის სენისგან განკურნება, პირველ ყოვლისა, მომხმარებლებიდან რომ უნდა დაიწყოს — ცხადია.**

ფალსიფიკაცია დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც. კოდექსის 197-ე მუხლში ფალსიფიკაცია შემდეგნაირადაა განმარტებული: **„ფალსიფიკაცია, ესე იგი მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, — ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.**

**ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ანდა რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“.**

სავალალო შედეგამდე და სიცოცხლის მოსპობამდე, იმედია, საქმე არ მივა, თუმცა ფალსიფიკაციის დანაშაულებრივი მხარე მართლაც რომ დიდია, ამაზე ღვინის ექსპერტები დღეს უკვე აღარ კამათობენ.

ღვინის ფალსიფიკაციის სახეებია: **პროდუქტის ფალსიფიცირება, ღვინის მაგივრად სუროგატის შექმნა, აკრძალული ოპერაციებისა და ნივთიერებების გამოყენება, ეტიკეტის ფალსიფიცირება და არასწორი მინიშნება: ადგილწარმოშობის, ჯიშის, მწარმოებლის, ქვეყნის, მეთოდის და სხვა..**

**დღეს განსაკუთრებით პრობლემურია „ეტიკეტის ფალსიფიცირება“ და არასწორი მინიშნება, მიმსგავსება: გეოგრაფიული ადგილის, ყურძნის ჯიშის, მოსავლის წლის, მწარმოებლის, ქვეყნის, მეთოდის და სხვა. ფალსიფიცირების უარყოფითი მხარეებია ისიც, რომ მთლიანობაში მომხმარებელი იხდის უფრო ძვირს, ვიდრე ღირს პროდუქტი. გარდა ამისა, პროდუქტი შეიძლება საშიში იყოს ჯანმრთელობისთვის და, რაც ყველაზე ცუდია, მომხმარებელი კარგავს ნდობას პროდუქტისადმი, რითაც ზარალდება პატიოსანი მწარმოებელი.**

ALLWINE.GE

# სოფლის განვითარების ახალი პროექტის წარდგინება თეთრწყაროში

**სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე ქვემო ქართლის რეგიონში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის განვითარების ახალი პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ პრეზენტაციას დაესწრო.**

**პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი, სამოქალაქო, საჯარო და კერძო სექტორის ეფექტიანი თანამშრომლობის გზით, ხელი შეუწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.**

**აღნიშნული პროექტი ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.**

**ღონისძიებას ევროკავშირის დელეგაციის წევრები, ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**





# ვახტანგ ყოლბაია: იდეები არის, მაგრამ ვინ შეაბამს კატას ეჟვანს?

**11 აპრილს „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის" საქართველოს ოფისში საინფორმაციო სააგენტო „აქცენტის" ორგანიზებითა და ფონდის მხარდაჭერით რიგით მეორე მრგვალი მაგიდა ჩატარდა თემაზე „ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაცია: თბილისი, სოხუმი, ცხინვალი". ღონისძიების მსვლელობისას სამთავრობო უწყებების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და კონფლიქტების თემაზე მომუშავე ექსპერტებმა ამ მიმართულებით სადღეისოდ არსებულ გამოწვევებზე და კონფლიქტის მოგვარების გზებზე იმსჯელეს. მრგვალი მაგიდის შედეგად გამოკვეთილ ძირითად ინიციატივებზე „აქცენტი" ღონისძიების ერთ-ერთ მონაწილეს, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიას ესაუბრა:**

**— ბატონო ვახტანგ, დღევანდელ ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ გაიჟღერა თაობების ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოქმნილმა პრობლემებმა, იმან, რომ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს არ აქვთ პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილება. ამასთან, ყველა ბოლოდროინდელი კვლევა ადასტურებს, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქართველი საზოგადოებისთვის პირველი რიგის პრობლემა აღარ არის. ხომ არ ფიქრობთ, რომ ახალგაზრდებთან მეტი მუშაობაა საჭირო, რომ ის საერთოდ არ გადაავიწყდეთ?**

— გეთანხმებით, მაგრამ საკითხავია, ვინ შეაბამს კატას ეჟვანს? ვფიქრობ, რომ ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ. ჩემმა უწყებამ თავისი უნდა გააკეთოს, ასევე ცენტრალურმა ხელისუფლებამ, არასამთავრობო სექტორმა. აქ საჭიროა მრავალშრიანი მიდგომები — ახალგაზრდობასთან აქ, ასევე იქ, არასამთავრობო სექტორთანაც — ენგურის ორივე მხარეს. შეიძლება, გაიმართოს კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, შეხვედრები ადგილებზე, დევნილი მოსახლეობა უნდა ჩაერთოს სოციალურ თუ ეკონომიკურ პროექტებში, რომლებიც შეიძლება, დააფინანსოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, უცხოელმა პარტნიორებმა და ა.შ. მართალი ხართ, რომ ის აქტივობები, რომლებიც ადრე იყო, სადღეისოდ აღარაა. მსგავსი შეხვედრები დგება პერიოდულად. შვეიცარიიდან რომ მოვფრინავდი, შევხვდი ქართველების ჯგუფს, რომლებიც აფხაზებს ევროპაში ხვდებოდნენ და რაღაც საკითხები განიხილეს. მათ შესახებ არაფერი ვიცოდი, რა ჯგუფი იყო, ვინ შეარჩია, როგორ და ა.შ. ვიცი, რომ ქართველი ჟურნალისტები სომხეთში ხვდებიან ხოლმე აფხაზ კოლეგებს. მოგეხსენებათ, შეხვედრებია ჟენევის ფორმატში, რომელშიც ჩვენც ვართ ჩართულები... მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ფრაგმენტულია. საჭიროა უფრო აქტიური, კომბინირებული ღონისძიებები, რომ წავიდეთ სიღრმეებში, მოვიცვათ მეტი ახალგაზრდა.

მქონდა იდეა, სოხუმის უნივერსიტეტში გაკეთებულიყო კათედრა, რომელიც მოამზადებდა მშვიდობის ლიდერებს, ისინი წაუძღვებოდნენ კონკრეტულ პროექტებს. სამწუხაროდ, ეს იდეა ვერ განხორციელდა, რადგან ფინანსებთან იყო დაკავშირებული და თავად ინსტიტუტშიც დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრიან. ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ აკადემიასთან ერთად გავაკეთეთ მსგავსი რამ. იქ შეიქმნა ჯგუფი, რომელიც მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტებთან მუშაობდა. მაგრამ არც ესაა სისტემური. თვითკრიტიკით უნდა ვთქვა, რომ ჩვენ გვიჭირს სისტემური მიდგომა. ჩვენი უწყება ძირითადად ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული. ჩვენ შევქმენით პატარა უწყება, მინისტრთა კაბინეტის მსგავსი, რომელიც სამშვიდობო პროექტებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. სამი პროექტი განახორციელა: ახალფაზრდული ფორუმი, ასევე ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები შეხვდნენ ერთმანეთს... მაგრამ არც ეს იყო სისტემური: იყო რამდენიმე შეხვედრა და სხვაგან ვერ „გავშალეთ ფრთები".

ასე რომ, იდეები არის, მაგრამ მათ სჭირდება ნება, ნებისყოფა და სახსრები. ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, სოციალურმა პრობლემატიკამ წინა პლანზე წამოიწია, მაგრამ კარგია, რომ უკვე მეორე ღონისძიებას ვესწრები მიმდინარე თვეში, რომელიც კონფლიქტებს ეძღვნება. სისტემური მიდგომა გაცილებით მეტ შედეგს მოიტანდა.

**— სახელმწიფო აცხადებს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრიორიტეტული საკითხია, მაგრამ თუ ასეა, პრობლემები, რომლებზეც თქვენ მიუთითებთ, ხელისუფლებისთვის აქტუალური უნდა იყოს და რატომ დგას ეს პრობლემები? ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რეალურად პრიორიტეტული რატომ არაა?**

— როგორ არა, რომელი ხელისუფლებისთვის არ უნდა იყოს ეს საკითხი პრიორიტეტული?!...

**— ბრძანეთ, რომ შედგა შეხვედრა, რომლის შესახებაც თქვენ შემთხვევით შეიტყვეთ... არადა, თქვენი უწყება აფხაზეთის მთავრობაა. ხომ არ მიუთითებს ეს თქვენი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების შეუთანხმებელ მუშაობაზე, თუნდაც ოფიციალურად გაცხადებული შერიგების პოლიტიკის ირგვლივ?**

— შეხვედრის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, მაგრამ იქ ახალგაზრდები ვიზების გარეშე ვერ წავიდოდნენ, ამიტომ რაღაც ფორმით პროცესში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც იყო ჩართული.

რაც შეეხება კოორდინაციას, დიახ, არის პრობლემა და ამას ვაღიარებ. ამასთან, ღიად ვიტყვი, რა განუზომელი რესურსიც არ უნდა ჰქონდეს უშუალოდ ჩვენს უწყებას, იგი აფხაზებთან პირდაპირი კონტაქტის დასამყარებლად არ გამოდგება, რადგან ისინი ჩვენ არ გვცნობენ, ჩვენ — მათ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ვიყოთ ინიციატორები.

**— თავად აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზეც ვისაუბროთ. არაერთხელ გამოჩნდა, რომ აფხაზები საკმაოდ აქტიურად უწევენ წინააღმდეგობას, ასე ვთქვათ, რუსულ იდეებს — იქნება ეს საკუთრების უცხოელებისთვის მიყიდვის დაშვებასთან დაკავშირებული კანონის არმიღება, არჩევნები (ახალ აფხაზურ პარლამენტში არცერთი რუსი დეპუტატი არ მოხვდა) თუ სხვა. რაზე მიუთითებს ეს პროცესები?**

— ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთთან მიმართებაში აფხაზების დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, გაციებულია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთს ე.წ. დამოუკიდებლობის მთავარ გარანტად, ეკონომიკურ თუ სოციალურ აქტივობებში მთავარ დონორად არ მოიაზრებენ. აფხაზები, ოსებისგან განსხვავებით, ე.წ. დამოუკიდებლობას უსვამენ ხაზს და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. ბუნებრივია, რუსეთი პოზიციას არ თმობს. ე.წ. საზღვარზე, გალში საპოლიციო ფუნქციები აითვისა, რასაც თავად აფხაზები არ აღიარებენ და წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ. სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთი ნელ-ნელა ითვისებს აფხაზეთის ტერიტორიას.

**— ამ მხრივ ალბათ, საინტერესოა, რომ პრეტენზიები რუსულ ბაზებთან დაკავშირებით ხმამაღლა ისმის. შეგახსენებთ გულრიფშის რაიონის გამგებლის ამასწინანდელ საკმაოდ სკანდალურ პრესკონფერენციას...**

— სწორი დაკვირვებაა. მსგავს დამოკიდებულებებს რუსები რეაგირების გარეშე არ ტოვებენ. ამიტომაა, რომ რუსეთი აფხაზებისთვის მაინცდამაინც არ იხარჯება, არც თავისუფლებას აძლევს, არც საკმარის ფინანსურ სახსრებს და არც სხვა ქვეყნების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ზრუნავს. ვფიქრობ, ეს ურთიერთობა „იწილო-ბიწილოს" რეჟიმში გაგრძელდება. აფხაზეთში რუსი სამხედროების რაოდენობა იზრდება, რუსული დომინანტური ენა ხდება ქართულისა და აფხაზურის ხარჯზე.

და ერთადერთი, ვინც ამ ვითარებით სარგებლობს, სომხური დიასპორაა. მათ აქვთ 25 თუ 27 სომხური სკოლა. სომხური დიასპორა მოთხოვნადი ელექტორატი ხდება, მასზე გავლენა კი რუსეთს აქვს. მოგეხსენებათ, გასულ წელს აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა ავტონომიის მოთხოვნა გააჟღერეს. აფხაზეთის ე.წ. მთავრობის წარმომადგენლები ჩავიდნენ სომხეთში, შეხვედრა პრეზიდენტის დონეზე გამართეს და აფხაზეთში მცხოვრები სომხების დაშოშმინება სთხოვეს. ამის შემდეგ ავტონომიაზე საუბარი შეწყდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ურთიერთობები დაპირისპირებისკენ წავა და, შესაძლოა, ეს რუსეთსაც აწყობდეს, რადგან თავად ყოველთვის ექნება ე.წ. მედიატორის როლი.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა თავისი გავლენები ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენოს, ერთი მხრივ, იქ დაძაბოს ვითარება, მეორე მხრივ კი, აქ — ჩვენსა და აქ მაცხოვრებელ სომხებს შორის, რადგან ძაფი ახალციხესა და სოხუმს შორის არსებობდა და არსებობს კიდეც.

ასე რომ, ამ ეტაპზე რუსეთი დიდად არ იხარჯება და რასაც აკეთებს, უფრო აფხაზების დამსახურებაა. მოგეხსენებათ, ახლა გზა ააშენეს, რომელიც გალის ქვედა ზონამდე მოდის. ქალაქი ფაქტობრივად გასამხედროვდება. თავად აღნიშნულს უარყოფენ, მაგრამ გადაადგილება კიდევ უფრო გართულდება, ერთი სოფლიდან მეორეში გადასასვლელად კი დოკუმენტები დასჭირდებათ. რუსებს სურთ, გალი სამხედრო დასახლებად აქციონ. ბუნებრივია, ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არაა და მთელი რეგიონის უსაფრთხოებას უქმნის გამოწვევებს.

**ესაუბრა**
**დიანა მუსელიანი**

# „ზუგდიდელი" ხელისუფლებისგან ითხოვს...



**ფილოსოფიურად, ჭეშმარიტების კრიტერიუმად პრაქტიკა და გამოცდილება ითვლება.**

სწორედ ასეთი პრაქტიკოსი და გამოცდილი ადამიანებისგან შედგება საზოგადოება „ზუგდიდელი". ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ყოფილი გუბერნატორი, ყოფილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც „ზუგდიდელის" ბირთვს შეადგენენ. „საქართველოს რესპუბლიკის" საშუალებით მიმართავენ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, ყურად იღონ მათი რჩევები, რათა ქვეყანამ ჭეშმარიტების გზით იაროს.

„ხელისუფლებაში „ქართული ოცნების"მოსვლის შემდეგ კი შეიმჩნევა ერთგვარი პოზიტიური ძვრები ქვეყნის ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ეს არ არის საკმარისი იმ ჩიხური სიტუაციიდან გამოსასვლელად, რომელშიც დღეს საქართველო და აქ მცხოვრები ხალხი იმყოფება, ამიტომაც ჩვენ ვაყენებთ საკითხებს ხელისუფლების წინაშე, რომელიც უნდა გადაიჭრას და მოგვარდეს", განუცხადა „საქართველოს რესპუბლიკას" საზოგადოება „ზუგდიდელის" თავმჯდომარემ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ოთარ ფაცაციამ:

**1. ძირფესვიანად შესაცვლელია საკადრო პოლიტიკა. საჯარო სამსახურში საჭიროა მაღალი კვალიფიციური, პროფესიონალი,პატრიოტული სულისკვეთების მქონე კადრების შერჩევა და დანიშვნა.**

**2. ადგილობრივი ნედლეულის (სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, თხილი, ნიგოზი) გადამუშავებაზე ორიენტირებული, უნარჩენო, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოთა შექმნა, მზა პროდუქციის წარმოება.**

**3. ნოყიერ, მოსავლიან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე პრიორიტეტი მიეცეს მემარცვლეობის განვითარებას როგორც მოსახლეობის მოხმარების ნომერ პირველ პროდუქტს.**

**4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე აიკრძალოს სამშენებლო სამუშაოები.**

**5. როგორც ვენახი, ისე ჩაი გამოცხადდეს პრიორიტეტულ კულტურად და აღდგეს ეს მაღალრენტაბელური დარგი, რომ გაჯერდეს შიდა სამომხმარებლო ბაზარი ეროვნული პროდუქციით.**

**6. საქართველო მდიდარია სასმელი მტკნარი წყლის მარაგით, ინდუსტრიული წესით მოხდეს მისი ჩამოსხმა, დაფასოება და ექსპორტზე გატანა.**

**7. პრაგმატული პოლიტიკური ღონისძიებები გატარდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და ქართულ-რუსული ურთიერთობის მოსაგვარებლად.**

**8. ქვეყანას გააჩნია საჭირო რესურსი იმისათვის, რომ გაიზარდოს პენსია.**

**9. შესწავლილ იქნეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და დადგინდეს, თუ რა როლს თამაშობენ ისინი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში.**

**10. საჭიროა, ეკოლოგიურ პრობლემებს მიექცეს დროული ყურადღება. მრავალწლიანი ტექნიკური კულტურები დაცულ იქნეს მავნე ბაქტერიებისგან. უნდა განხორციელდეს რეგიონებში არსებული ქარსაფარი ზონების სრული რეაბილიტაცია. საქართველოს საკაფი ტყე მხოლოდ სანიტარიული ჭრა უნდა ხდებოდეს.**

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ საკითხებისა (სულ 25 საკითხია), რომელთა გადაჭრასა და გადაწყვეტას ითხოვენ საზოგადოება „ზუგდიდელის" წარმომადგენლები ხელისუფლებისაგან.

**ღირს დაფიქრებად და აღსასრულებლად!**

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# მცხეთა უცხოელთა რჩევით უნდა დავაგეგმაროთ?!

## რახან ჩვენ ამის თავი არ გვაქვს, სხვამ უნდა გვასწავლოს, როგორი უნდა იყოს მცხეთა-ქალაქი?!

**მცხეთის ქალაქის განვითარების გეგმასთან დაკავშირებით საქართველოში იუნესკოს ექსპერტები მაისში ჩამოვლენ, — ამის შესახებ „კომერსანტს“ მცხეთის საკრებულოს წევრმა რევაზ მამულაშვილმა განუცხადა. მისივე განცხადებით, გენერალურ გეგმაზე მუშაობა 12 ოქტომბრამდე უნდა დასრულდეს.**

— ჩვენ წერილი მივიღეთ იუნესკოდან, სადაც პირდაპირ არის მინიშნებული, რომ გეგმის მუშაობაში ჩართული უნდა იყოს მუნიციპალიტეტი და ეს უნდა იყოს ფართო კონსესუსის საგანი. ეს წერილი გადაეგზავნათ კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვას, იუნესკოს წარმომადგენლობას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ამ წერილზე დანართის სახით არის ჩვენი წერილი და აღნიშნულია, რომ პროცესში ჩართულმა მხარეებმა უნდა გამოიყენონ ეს წერილი სახელმძღვანელოდ და გათვალისწინებული იყოს ჩვენი მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ ველოდებით იუნესკოს დელეგაციას, პირადად უნდა ჩამოვიდნენ ექსპერტები და გვასწავლონ, რადგან სამწუხაროდ, ჩვენ ცუდი კუთხით ვაჩვენეთ ჩვენი ქალაქის პოტენციალი, — განუცხადა „კომერსანტს“ მამულაშვილმა.

მისივე განცხადებით, იუნესკოს ექსპერტი განსაზღვრავს, რა სჭირდება ქალაქს და როგორი უნდა იყოს გენერალური გეგმა. ამასთან, ის თავადვე დაესწრება იმ პროცესებს, რაც განხორციელდება, ეს იქნება ტენდერი თუ სხვა ტექნიკური სამუშაოები.

— ამის შემდეგ უკვე კონკრეტულად კულტურული მემკვიდრეობის კუთხით ჩამოვა ექსპერტი და ჩვენს მუნიციპალიტეტთან და ძეგლთა დაცვასთან ერთად გაივლის დოკუმენტის პარამეტრებს, რასაც ქალაქის გენერალური გეგმა ჰქვია. ანუ ამ დროისთვის ჩვენი მთავარი მიღწევაა, რომ ჩამოდის დამოუკიდებელი არბიტრი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით იხელმძღვანელებს და ამავე დონის დოკუმენტის შექმნაში დაგვეხმარება, — დასძინა მამულაშვილმა.

**მცხეთაში იუნესკოს დელეგაცია მაისში ჩამოდის — ქალაქს განვითარების ახალი გეგმა 12 ოქტომბრამდე უნდა ჰქონდეს!**



ამასთან, როგორც მამულაშვილი აცხადებს, იუნესკომ ფაქტობრივად, დროში გაწერილი გეგმა წარმოადგინა. — მაისიდან სექტემბრამდე უნდა დასრულდეს ეს პროცესი და მითითებულია, რომ 2017 წლის 12 ოქტომბრამდე ამაზე მუშაობა უნდა დავამთავროთ. ჩვენც ყველანაირად მხარს ვუჭერთ, რომ ეს პროცესი დროულად დასრულდეს, — ამბობს რევაზ მამულაშვილი.

შეგახსენებთ, მცხეთის განვითარების გეგმა, რომლისთვისაც სარეზერვო ფონდიდან 160 ათასი ლარი გამოიყო და შემსრულებელმა კომპანია შპს „სალი 2011“-მა მიიღო, საკრებულომ დაიწუნა. როგორც „კომერსანტმა“ გაარკვია მიუხედავად იმისა, რომ იუნესკომ და შემდეგ უკვე მცხეთის საკრებულომ ქალაქის განვითარების ახალი გეგმა არ მოიწონა, კომპანიას გეგმის თავიდან შემუშავების ვალდებულება არა აქვს. როგორც რევაზ მამულაშვილმა განაცხადა ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტთან დაკავშირებით ახალი სამუშაო ჯგუფი უკვე შექმნილია და მასში დაწუნებული გეგმის ავტორები ჩართული არ არიან.

იმის გამო, რომ მცხეთის გენერალური გეგმა ვერ დამტკიცდა, მთავრობამ მცხეთაში მიწების გასხვისებასა და მშენებლობებზე მორატორიუმი 2 წლით გაახანგრძლივა, როგორც „კომერსანტს“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა თეო ონიანმა განუცხადა, თუ საკრებულო მორატორიუმის ვადის ამოწურვამდე შეძლებს აღნიშნული დოკუმეტაციის მიღებას, მორატორიუმიც ვადაზე ადრე შეწყდება.

**— მორატორიუმი ანუ ქალაქმშენებლობის შეზღუდვის არეალი მცხეთაში განისაზღვრა იმის გამო, რომ დღეს ქალაქს არ გააჩნია სრულყოფილი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია, ეს არის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა, რაც საფრთხეს წარმოშობს, რომ მცხეთაში მშენებლობები წარიმართოს ისევე ქაოტურად, როგორც ეს დღესდღეობით არის თბილისში და მივიღოთ ისტორიული იერსახისთვის შეუსაბამო შენობა-ნაგებობები. იუნესკოს რეკომენდაციებიც იყო, რომ შეზღუდვები დაწესებულიყო მთავრობის მხრიდან მანამდე, სანამ არ გვექნებოდა სრულყოფილი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია. შარშან წლის ბოლომდე მცხეთის მუნიციპალიტეტს უნდა შეემუშავებინა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რის მიხედვითაც შეიქმნებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, თვითონ მცხეთის მუნიციპალიტეტმა დაიწუნა მათ მიერ დაქირავებული ჯგუფის შემუშავებული პროექტი. და მორატორიუმის ვადის გასვლის დროს აღმოვჩნდით ზუსტად იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაც იყო მორატორიუმის შემოღებამდე. შესაბამისად, რადგან არ იყო ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯები, მთავრობამ მიიღო მისი გახანგრძლივების გადაწყვეტილება. თუ მოხდა და 3 თვეში შეიმუშავებენ დოკუმენტს, 3 თვეში შეწყდება მორატორიუმიც. მისი მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ გვქონდეს სრულყოფილი ქალაქმშენებლობითი გეგმა,** —განაცხადა თეო ონიანმა.

**ნათია სოსიაშვილი**

---

# საქართველოში მდიდარი ტურისტი არ ჩამოვა?!

## რატომ არ არის საქართველო მაღალბიუჯეტიანი მოგზაურებისთვის საინტერესო?

**საქართველოში მდიდარი ტურისტი არ ჩამოვა — ასეთ შეფასებას აკეთებენ „კომერსანტთან“ საუბრისას ტურიზმის სფეროს სპეციალისტები. როგორც გაირკვა, ტურისტების მიერ გაწეული ხარჯების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა, არაოფიციალურად და ექსპერტული დაკვირვებით, საქართველოში ძირითადად მცირებიუჯეტიანი და შესაბამისად, დაბალი გადახდისუნარიანი ტურისტი ჩამოდის, რომელიც ყველა თეთრს ითვლის. მათი ინფორმაციით, ჩვენთან მდიდარი სეგმენტის ტურისტი საკმაოდ ცოტაა.**

ტურიზმის ექსპერტი **შალვა ალავერდაშვილი** აცხადებს, რომ საქართველოში ნაკლებადმხარჯველი ტურისტი ჩამოდის. **„თქვენ რომ იყოთ მდიდარი, საქართველოში არ ჩამოხვალთ“** — აცხადებს ალავერდაშვილი. მისი თქმით, აქედან გამოსავალი კერძო სექტორმა უნდა ნახოს. როგორც ალავერდაშვილი განმარტავს, ერთადერთი, რაც მთავრობამ უნდა გააკეთოს, არის ის, რომ ქვეყანა უსაფრთხო გახადოს, რათა ყველა ტურისტმა თავი დაცულად იგრძნოს. მისი განცხადებით, ამის შემდეგ ტურიზმი თავისით განვითარდება.

**„ეს თანდათან უნდა მოვიდეს. მთავრობა ხომ არ გაიქცევა და ხომ არ ეტყვის, მილიონერებო ჩვენთან ჩამოდითო? აქედან გამოსავალი დროა. ერთბაშად არაფერი არ ხდება. იმ ქვეყანაში, რომელსაც არც ისე კარგი რეპუტაცია აქვს, არ წახვალ. თავიდან ისრაელიდან ძალიან დაბალი გადახდისუნარიანი ტურისტები ჩამოდიოდნენ, ყოველწლიურად ეს კონტიგენტი იცვლება. გასულ წელს უკვე საკმაოდ მხარჯველი ებრაელებიც ჩამოვიდნენ“, —** აცხადებს ალავერდაშვილი.

შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე **ია თაბაგარი** განმარტავს,რომ ოფიციალური სტატიტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენს ხარჯავს ქვეყანაში შემოსული ტურისტი, მის ორგანიზაციას არ გააჩნია. მისი მტკიცებით, ამას სერიოზული კვლევები სჭირდება.



რაც შეეხება ზოგად პოზიციას, თაბაგარი განმარტავს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ისეთი ქვეყნის მოქალაქეები შემოდიან, რომელთანაც კულტურული თვალსაზრისით ბევრი საერთო არ გვაქვს. კერძოდ, არ ვიცით მათი ენა, კულტურა, რელიგია. თაბაგარი აცხადებს, რომ კარგი იქნება,თუ საქართველოს პრიორიტეტი დასავლეთ ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან ტურისტების მოზიდვა იქნება. როგორც თაბაგარი აცხადებს, ამ მიმართულებით მასშტაბური მარკეტინგია გასაკეთებელი, ასევე ქვეყანაში ტურიზმი განხილული უნდა იყოს 10-20-30-წლიან პერიოდზე.

თაბაგარის განმარტებით, ტურიზმი არის კომერცია, მაგრამ არის კულტურის გაზიარებაც. შედეგად, როდესაც დასავლეთ ევროპელი ტურისტები საქართველოში მოგზაურობას დაიწყებენ, აქაური სერვისმომწოდებლები იძულებულები იქნებიან, ხარისხი გააუმჯობესონ. გარდა ამისა, ეს ინვესტიციების მოზიდვის საშუალება გახდება.

მისი თქმით, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს განვითარების სტრატეგია შემუშავებული აქვს, თუმცა, ის მოკლევადიანია.

**„მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფიქრობენ იმაზე, თუ სად ხედავენ თავიანთ ქვეყანას 20 წლის შემდეგ, ჩვენთან ამას ვერავინ ვერ ხედავს. ქალაქები — ბათუმი და თბილისი ბეტონის ჯუნგლებად გადაიქცა, ეკოლოგიური ფონი ძალიან მძიმეა. კულტურას ვკარგავთ. რეგიონებს რომ გადავხედოთ, ნაგვითაა სავსე. რისთვისაც ხალხი აქ ჩამოდის, ის 10-20 წლის შემდეგ აქ აღარ დახვდებათ. მე ამის შიში მაქვს. ყველა ხეობაში კეთდება ჰესები. ხომ შეიძლება დარჩეს რამდენიმე ხეობა, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა იქნება. იგეგმება და იგეგმება მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა, მე მათი მშენებლობის წინააღმდეგი არ ვარ, ეს ეკონომიკისთვის საჭიროა, თუმცა, ხომ შეიძლება რამდენიმე ხეობა დავიტოვოთ იმისთვის,რომ სათქმელი გვქონდეს — კავკასიის მთებში ჯერ კიდევ არის ადგილები, სადაც შეიძლება ეკოტურიზმი განვითარდეს“,** — აცხადებს თაბაგარი.

შეგახსენებთ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევრაზიის მთის კურორტების მესამე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ 2016 წელს ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა 2 მილიარდ დოლარს. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისადმი მთავრობის თანმიმდევრული და ეტაპობრივი მიდგომის შედეგად, საქართველოში დაფიქსირდა საერთაშორისო სტუმრების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.

**სოფო ქსოვრელი**

თქვენ კი გახსოვთ საშინელი ისტორიები, რომლებიც გვიამბეს ლიბერალმა ისტორიკოსებმა. ათი წელი — დაჭმუჭნილი გაზეთისთვის სტალინის პორტრეტით. და აქ არის რეალური შემთხვევა: კიტრის მწნილის შეხვევა ჟურნალ „ბოლშევიკში" ამ ჟურნალის ფურცლების შემდგომი დაჭმუჭვნითა და ამოხევით. და ამ ფაქტით ტკბობა დიდ ეკრანზე. სურათში ამ ეპიზოდს საკმაო დრო ეთმობა, და ჟურნალის ყდა ნაჩვენებია დიდი პლანით. ორჯერაა ნაჩვენები, ასე რომ, ვერ შენიშნო ეს ყოვლად შეუძლებელია. ბორის შუმიაცკი, ვინც ამ შემთხვევაზე ლაპარაკობს, მოგონებებში ამბობს: **„ჩვენების დროს ძალიან იცინოდნენ... ჩვენების შემდეგ კობამ და სხვებმა მიუთითეს, თუმცა ფილმს უყურებენ და კვლავაც უყურებენ კარგად, მაგრამ მასში რომაა მთელი რიგი ადგილები, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებენ"**.

რა „დაზუსტებანი" შეიტანა სტალინმა? კიტრსა და ჟურნალ „ბოლშევიკზე" სიტყვაც არაა. ადგილები, რომლებსაც სჭირდებათ დაზუსტება, სტალინის აზრით, შემდეგია: **„პირველი — ესაა სჩანდეს, რომ ზაიცევმა მეურნეობრიობის თავისი „სისტემით" სერიოზული ზიანი მიაყენა სხვა საწარმოებსა და სახელმწიფოს ან პირადად ეწეოდა მომხვეჭელობას, ადგილ-ადგილ ზედმეტად ბევრს ლაპარაკობენ. რაიკომის მდივანი ლაცისან საუბარში გამოიყურება მუხასავით, წარმოუსახავად"**.

ეს ესაა ყველა დაზუსტება. არ არის ბევრი. ერთი სიტყვაც არაა ანტისოვეტიზმზე და ტროცკიზმზე. მხოლოდ ტექნიკური შესწორებები.

მეტად საინტერესოა დიალოგიც სტალინსა და მაქსიმ გორკის შორის (გორკი არა მხოლოდ არ იყო ანტისტალინელი მწერალი, არამედ დიდად აფასებდა იოსებ ბესარიონის ძეს. მაგალითად, 1935 წელს საკოლმეურნეო ყრილობის დელეგატებს მან მისწერა: **„როგორი უბრალოა და ხელმისაწვდომი გონიერი სტალინი"**. 1930 წლის 29 ნოემბერს მწერალმა ბელადს გაუგზავნა წერილი, რომელშიც წერდა, რომ **„საბჭოთა პრესა არასათანადო ყურადღებას უთმობს ახალს, დადებითს, უპირატესობას ანიჭებს ნაკლოვანებების წარმოსახვას"**. ესე იგი ჩვენი ქვეყნის იმ მოქალაქეებს, ვინც დღეს უკმაყოფილოა რუსეთის თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რომლებსაც უყვართ შავტუხები და ნეგატივი და უკიდურესად უხალისოდ უჩვენებდნენ ახალ ქარხანას ან ახლად გახსნილ საბავშვო ბაღს, შეუძლიათ ჩათვალონ თავი გორკის ანამოზიარეებად. დამახასიათებელია სტალინის პასუხი, რომელიც გაიგზავნა იტალიაში, სადაც მწერალი ცხოვრობდა. როდესაც მას კითხულობთ, ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ ორიდან რომელი გამოდის კრიტიკის მხარდასაჭერად.


იოსებ სტალინი და მაქსიმ გორკი

> **„ჩვენ არ შეგვიძლია თვითკრიტიკის გარეშე. არაფრით არ შეგვიძლია, ალექსეი მაქსიმის ძევ. უიმისოდ გარდაუვალია მოდუნება, აპარატის ლპობა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი წამოწყების ჩაშლა. რასაკვირველია, თვითკრიტიკა მასალას აძლევს მტრებს. ამაში თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით. მაგრამ იგი იძლევა მასალას (და ბიძგსაც) ჩვენი წინსვლისთვის, მშრომელთა სამშენებლო ენერგიის გახსნისთვის, შეჯიბრების განვითარებისთვის, დამკვრელი ბრიგადებისათვის და ა.შ. უარყოფითი მხარე იფარება და იმალება დადებითით. შესაძლებელია, რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ზედმეტად წინ სწევს ჩვენს ნაკლოვანებებს, ზოგჯერ კი (უნებლიეთ) აფიშირებასაც კი უკეთებს მათ. ეს შესაძლებელია და საალბათოც კი. და ეს, რასაკვირველია, ცუდია. ამიტომ თქვენ მოითხოვთ გაუთანაბროთ (ვიტყოდი — გადაფაროთ) ჩვენი ნაკლოვანებები ჩვენს მიღწევებს. და ამაში თქვენ, რა თქმა უნდა, სწორი ხართ. ჩვენ ამ ხარვეზს შევავსებთ აუცილებლად და გადაუდებლად, ამაში შეგიძლიათ, ეჭვი არ იქონიოთ" (ი.ბ. სტალინი).**

ეს მართლაც საინტერესოა. სტალინი კრიტიკის მომხრეა, გორკი მას გადაჭარბებულად და საზიანოდ მიიჩნევს. და ეს უკვე 1930 წელია — ტროცკი ჩამოშორებულია, და „დესტალინიზატორები" გვეუბნებიან გამარჯვებული სტალინური ხაზის აბსოლუტური ხელისუფლების შესახებ. (სხვათა შორის, სტალინის ამავე წერილში გორკისადმი ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ იოსებ ბესარიონის ძის აზრები, რომლებიც გვეხმარება გავიგოთ მისი არასიყვარული ამხანაგ დემიან ბედნისადმი:

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-77**




> **თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით, რომ ჩვენ პრესაში გამეფებულია დიდი გაურკვევლობა ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებში. ზოგჯერ უშვებენ ზებუნებრივ სისულელეებს, რაც მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ამ დარგში უამრავი სამუშაო გველის, მაგრამ მე ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი მოვლაპარაკებოდი ამხანაგ-ანტირელიგიელებს თქვენს წინადადებებთან დაკავშირებით. შემდგომ მოგწერთ ამის შესახებ".**

ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა სტალინს კულტურის სხვა „შემადგენელ ნაწილებთან" — კომპოზიტორებთან. აი, ნაწყვეტი ტიხონ ხრენნიკოვთან საუბრიდან. საუბარი, სხვათა შორის, მიმდინარეობს 1939 წელზე. როდესაც ყველა, ლიბერალური წყაროების თანახმად, ცხოვრობდა შიშსა და საშინელებაში. მაგრამ მხოლოდ კომპოზიტორმა ხრენნიკოვმა რატომღაც ეს არ იცის. თუმცა ცხოვრობდა იმ დროს და ერთხელ ძლიერაც შერცხვა სტალინის წინაშე. ჩვენ ხომ გვეუბნებიან, რომ მას ყოველთვის უნდოდა, მოეკლა ვინმე თავისზე უფრო ჭკვიანი, ნიჭიერი და პერსპექტიული, მაგრამ რეალობაში სტალინი სხვაგვარი იყო. როგორი? ნორმალური ადამიანი.

**„ტ.ხრენნიკოვი... სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი მოვიდნენ თეატრში ჩემი ოპერის მოსასმენად... გამოვიდა ისე, რომ ამ საღამოს კიევში ვიყავი. წარმოიდგინეთ, ამავე ოპერის პრემიერაზე, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკომაც ხომ გამაფრთხილა, ამბობდა, რომ არ წავსულიყავი. საქმე ისაა, რომ მან მოიწვია სტალინი და უთხრა, რომ ერთ-ერთ უახლოეს სპექტაკლზე მოვა. მაგრამ მე კიევში უნდა წავსულიყავი... და წავედი... ის კი სწორედ მომდევნო სპექტაკლზე მოვიდა!**

**— გეწყინათ?**

**ტ. ხრენნიკოვი: ის სიტყვა არაა. თქვენ უბრალოდ წარმოიდგინეთ: მე მივდივარ კიევში ჩემი ოპერის პრემიერაზე, გაზეთის გამყიდველები ყვირიან: „ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი ტიხონ ხრენნიკოვის ოპერის „გრიგალში" დადგმაზე!"**

**— და რას მოგიყვათ შემდეგ ნემიროვიჩ-დანჩენკო?**

**ტ. ხრენნიკოვი: მლანძღავდა! იმიტომ, რომ, მეუბნება, ამხანაგმა სტალინმა მიგვიწვია ლოჟაში მე და თქვენ, გაუკვირდა, თქვენ რომ არ იყავით. აიო, მომიწია, ამეხსნა, რომ თქვენ ამავე ოპერის კიევის პრემიერაზე ხართო... რა უნდა მექნა? თმებს ვიგლეჯდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო".**

რით დამთავრდა საქმე? იმით, რომ სტალინმა... სპექტაკლი შეაქო. მაგრამ ხომ შურიანი და ბოროტი იყო? არა, **სტალინი იყო ნორმალური**. ამიტომ ყველაფერი გაიგო და არ ეწყინა. ბოლოს და ბოლოს, მისი ვიზიტის ზუსტი თარიღი მართლაც ხომ არ იყო დანიშნული. ათი წლის შემდეგ სტალინმა ხრენნიკოვი საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურ მდივნად დანიშნა, თანაც სტალინური პრემიების კომიტეტის მუსიკალური სექციის თავმჯდომარედ.

აი, კიდევ შემთხვევა, რომელიც აღწერს სტალინური პრემიის მიღების პროცედურას (იმავე ორგანიზატორის ტიხონ ხრენნიკოვის სიტყვებით). იგი იყო სავსებით თავისუფალი და დემოკრატიული. ყოველწლიურად თავდაპირველად მიმდინარეობდა კანდიდატურის განხილვა და ფარული კენჭისყრა სექციების მიხედვით. შემდეგ კანდიდატურებს განიხილავდნენ კომიტეტის პლენუმზე, და აქ კვლავ მიმდინარეობდა ფარული კენჭისყრა. მხოლოდ ამის შემდეგ საბოლოოდ ყალიბდებოდა სია. შემდეგ კი იყო პოლიტბიუროს სხდომა, რომელიც ღებულობდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

**„ტ. ხრენნიკოვი: ჩვენ განვიხილავდით კონსტანტინ სედიხის რომანს „დაურია". შესანიშნავი რომანია, მე ის წავიკითხე, ძალიან მომეწონა. მან გაიარა კომიტეტში ფარული კენჭისყრა, რეკომენდაციას უწევდნენ მეორე ხარისხის პრემიაზე. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ წიგნის წინააღმდეგ გამოვიდა, ფადეევი იყო. მას სტალინი ეუბნება: „ამხანაგო ფადეევ, ეს ხომ პუბლიცისტიკა არაა, ეს მხატვრული ნაწარმოებია. მიმაჩნია, რომ მასში შესანიშნავადაა ნაჩვენები პარტიის როლი. მხატვრულ ნაწარმოებში, რომანში ხომ არაა აუცილებელი აბსოლუტური სიზუსტით აჩვენოს ცალკეული ისტორიული ეპიზოდები, წვრილმანი ფაქტები, რომლებიც აღიბეჭდა თქვენს შემეცნებაში, როდესაც იქ ცხოვრობდით. ეს შესანიშნავი წიგნია".**

**ფადეევი კვლავ წინააღმდეგია: „ამხანაგო სტალინ, არ გეთანხმებით და ამ წიგნის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ". და აგრძელებს თავის არგუმენტებს, ამტკიცებს თავისას. სტალინი მას ეუბნება: „ამხანაგო ფადეევ, ასე ხომ არ შეიძლება. ეს ხომ ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელიც უდიდესი ინტერესით იკითხება, მხატვრულადაა აღწერილი შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი".**

**— ფადეევი ედავებოდა? ესე იგი შეიძლებოდა სტალინთან დავა?**

**ტ. ხრენნიკოვი: რატომაც არა? ფადეევი არა მხოლოდ ედავებოდა, არამედ მეტად მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა სტალინს. შეთანხმებას, კონსენსუსს მათ ვერ მიაღწიეს.**

**შედეგად, ფადეევი თავისაზე იდგა. მაშინ სტალინმა პოლიტბიუროს მიმართა: მაშ, რა ვქნათ, მივცეთ პრემია სედიხს? და, ფადეევის აზრის საწინააღმდეგოდ, პრემია მისცეს. აი სიტყვები ტიხონ ხრენნიკოვის, რომელიც რამდენჯერმე გვიყვებოდა ამ ისტორიას სხვადასხვა ვარიაციებით: „სტალინი სავსებით ნორმალური ადამიანი იყო" (ტ. ხრენნიკოვის წიგნიდან „სტალინმა მუსიკა ჩვენზე უკეთ იცოდა").**

საერთოდ, ტიხონ ხრენნიკოვის საუბრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სტალინური პრემიისთვის ღირსეული კანდიდატის არჩევნები იყო მეტად საინტერესო ღონისძიება, რომლის დროსაც შეიძლებოდა, გაგეკეთებინა ბევრი მეტად საინტერესო ჩანახატი.

**„ტ. ხრენნიკოვი: პირველსავე შემთხვევაში მან ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა... იმით, რომ მან ყველაფერი იცოდა, რასაც განვიხილავდით. კანდიდატურები იყო არა მხოლოდ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, არამედ მეცნიერებაშიც. მახსოვს ისტორიაში წიგნის განხილვა, რომელიც პრემიის მოსაპოვებლად აკადემიკოსმა გრეკოვმა წარმოადგინა. ის მაშინ საბჭოთა ისტორიულ სკოლას ედგა სათავეში. სტალინი კითხულობს: „ამხანაგო გრეკოვ, თქვენ წაიკითხეთ ეს წიგნი?" გრეკოვი წითლდება, ოფლი ასხამს: „არა, ამხანაგო სტალინ, სამწუხაროდ, არ წამიკითხავს". სტალინი: „მე კი, ამხანაგო გრეკოვ, სამწუხაროდ, წავიკითხე ეს წიგნი". და მან დაიწყო მისი დაწვრილებითი, კონკრეტული და მეტად დამარწმუნებელი ანალიზი, მეხსიერებით მოჰყავდა ციტატები წიგნიდან, ასახელებდა წიგნში დაშვებულ დამახინჯებულ ისტორიულ ფაქტებს. თმაჭაღარა აკადემიკოსი სირცხვილისგან სულ ოფლში ცურავდა. მეშინოდა, რომ გული არ წასვლოდა".**

სტალინი პატივს სცემდა პროფესიონალების აზრს. ნებისმიერი დარგის პროფესიონალებს — მწერლებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს. აი, მცირე ისტორია, რომელიც ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა. **სტალინური პრემიის მოსაპოვებლად ერთ-ერთი სიმფონიისთვის, ჟდანოვის წინადადებით, წარმოდგენილი იყო კომპოზიტორი გოლუბევი. კომისიის წევრებმა, რომლებსაც ესმოდათ,**


ტიხონ ხრენნიკოვი

**თუ ვისი პროტეჟე იყო გოლუბევი, მისცეს ხმა „დიახ". როდესაც მზა სიები მიუტანეს სტალინს, მან იკითხა:**

**— გოლუბევ... სიმფონია... ყველა თანახმაა, ერთი — წინააღმდეგი. ვინ არის ის ერთი?**

**— შოსტაკოვიჩი, ამხანაგო სტალინ.**

**— ამხანაგ შოსტაკოვიჩს მუსიკაში ჩვენზე მეტი ესმის, — თქვა სტალინმა და ამოშალა გოლუბევი ლაურეატების სიიდან.**

იმავეს, პრაქტიკულად, იგივე სიტყვებით, ამბობს ტიხონ ხრენნიკოვიც. კანდიდატურების ერთ-ერთი განხილვის დროს მან წამოაყენა წინადადება, პრემიით დააჯილდოონ ნეჩიპორენკო, რომელიც ვირტუოზულად უკრავდა ბალალაიკაზე. იმდენად ვირტუოზულად, რომ მას „ოისტრახს ბალალაიკაზე" უწოდებდნენ, ადარებდნენ მევიოლინე ოისტრახს, რომელიც მაშინ ძალიან სახელგანთქმული იყო. ყველა თანახმაა.

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**

**(გაგრძელება იქნება)**

# ამერიკელი კონგრესმენების რეზოლუცია საქართველოსთვის მეტ მხარდაჭერას გულისხმობს

**ნატო, როგორც უსაფრთხოების დაცვის შეუცვლელი გარანტი, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და რუსეთის მიერ შევიწროებული მეზობელი ქვეყნები, რომლებსაც მეტი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატომ – ასეთია ძირითადი აქცენტები ორპარტიული რეზოლუციისა, რომელიც 6 აპრილს წარმომადგენელთა პალატაში წარადგინეს აშშ-ის დემოკრატმა კონგრესმენმა სტივ კოენმა და რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ჯონ შიმკუსმა. რეზოლუციის ტექსტის მიხედვით, ნატო კვლავაც რჩება „ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ“ დამაკავშირებელ უსაფრთხოების მექანიზმად აშშ-სა და ევროპას შორის. ტექსტში ნათქვამია ასევე, რომ ნატოში გაწევრიანების საშუალება უნდა მიეცეთ პარტნიორ ქვეყნებს. ორპარტიულმა რეზოლუციამ კმაყოფილი დატოვა თბილისი.**

აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობითი პალატისთვის წარდგენილი რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ-ის სრულ მხარდაჭერას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და საჭიროდ თვლის, რომ შეერთებულმა შტატებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გაუზარდოს დახმარება პოლიტიკის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების მიმართულებებით. ტექსტის მიხედვით იოლი მისახვედრია თუ რომელი ქვეყნისგან სჭირდებათ დაცვა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს და რომელი ქვეყანა მიიჩნევა დესტაბილიზაციის მთავარ წყაროდ. რუსეთი ტექსტში რამდენიმე ადგილას არის ნახსენები:

„რუსეთის აგრესიული ქმედებები მეზობელი ქვეყნების — ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების მიმართ, რაც მოიცავს ბალტიის საჰაერო სივრცის მრავალგზის დარღვევას, საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას 2008 წელს, ყირიმის ანექსიას 2014 წელს და განგრძობად საფრთხეებს მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, — წარმოადგენს არა მხოლოდ ჰელსინკის დასკვნითი აქტის ვალდებულებებისა და ეუთოს შეთანხმებების დარღვევას, არამედ წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ევროპის დესტაბილიზაციის კუთხით“.

ნატოს პარტნიორი ქვეყნებისა და, მათ შორის, საქართველოს მხარდაჭერის აუცილებლობას დიდწილად მადლიერების გრძნობას უკავშირებს ორპარტიული რეზოლუციის ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორი, დემოკრატი კონგრესმენი სტივ კოენი. სოციალურ ქსელ ფეისბუქში, რეზოლუციის მნიშვნელობაზე წერისას, ის საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ნატო მშვიდობიან მიზნებს ემსახურება და შეერთებული შტატები ისევე უნდა დაუდგეს მხარში ნატოსა და აღმოსავლეთევროპელ პარტნიორებს, როგორც ისინი ედგნენ მხარში შეერთებულ შტატებს სამშვიდობო მისიებში: დასავლეთ ბალკანეთში, ერაყში, ავღანეთსა თუ სხვაგან. ეს აქცენტი რეზოლუციის ტექსტშიც გვხვდება. აქვე აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს ნატოს „ღია




კარის“ პოლიტიკას და ალიანსში იმ ქვეყნების გაწევრიანებას, რომლებსაც ეს სურთ და რომლებიც ამას იმსახურებენ. რეზოლუციაში ნახსენებია ასევე პარტნიორი ქვეყნებისთვის ალიანსის მიერ გაზრდილი მხარდაჭერა და, მათ შორის, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი.

წარმომადგენლობით პალატაში შესულ ორპარტიულ რეზოლუციას მაღალ შეფასებას აძლევენ თბილისში. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ აღნიშნა, შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანო მტკიცედ და თანამიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოს ინტერესებს და ბოლო პერიოდში სენატში ინიცირებულ ასევე მნიშვნელოვან რეზოლუციას ახლა უკვე კონგრესმენების მიერ მომზადებული დოკუმენტიც შეემატა:

„... საქართველოს შესახებ არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: ის, რომ მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვას, ასევე საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში და ასევე ამერიკა-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას... და ხაზია გასმული საქართველოს პროგრესზე და იმ წარმატებებზე, რომლებიც საქართველოს აქვს ამ მიმართულებით. ეს არის გამოხატულება სწორედ მჭიდრო თანამშრომლობისა აშშ-ის კონგრესთან და იმ მხარდაჭერისა, რომელიც ჩვენ გვაქვს კონგრესში და ეს გამოხატულია ორპარტიული სრული მხარდაჭერით“.

ერთი შეხედვით, თითქოს, არსებითად ახალი არაფერია, შეერთებული შტატების მხრიდან ადრეც ბევრჯერ მოგვისმენია რუსეთის აგრესიული ქმედებების კრიტიკა და რუსეთის მიერ შევიწროებული ქვეყნების დახმარების სურვილი, მაგრამ, როგორც პოლიტოლოგმა გიორგი გობრონიძემ უთხრა რადიო „თავისუფლებას“, იმის გარდა, რომ მეტად მნიშვნელოვანია მთავარი სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის ნებისმიერი ასეთი გამოხატულება, ეს არის ასევე გარკვეული სიგნალი, რომ საქართველოს შეუძლია სათანადო როლი მოირგოს იმ რეალობაში, როცა ტრამპის ამერიკა იბრუნებს ლიდერის როლს და ააქტიურებს საგარეო პოლიტიკას:

საქართველო ნატოს ერთგული რჩება და ეს კიდევ ერთხელ გამოვლინდა 10 აპრილს, როდესაც თბილისში ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ორდღიანი ფორუმი გაიხსნა. როცა მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა იმედიანად ილაპარაკა ნატო-საქართველოს დაახლოებაზე, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებზე და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გვერდში უდგას საქართველოს ალიანსში გაწევრების გზაზე. ნატოსა და საქართველოს კიდევ უფრო დაახლოების აუცილებლობასა და პერსპექტივებზე ილაპარაკა ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწემ სახალხო დიპლომატიის საკითხებში ტაკან ილდემმაც და რეგიონში დესტაბილიზაციის მთავარ წყაროდ მანაც რუსეთი დაასახელა. 10 აპრილს ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე კვირაში საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ესტუმრება და მონაწილეობას მიიღებს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში. მასშტაბურ წარმომადგენლობით ღონისძიებას საქართველო 26-29 მაისს უმასპინძლებს.

**ლელა კუნჭულია**

## დედა ენის კვირეული ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლაში

**ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა დედა ენის დღესთან დაკავშირებით 13-დან 21 აპრილის ჩათვლით მართავს დედა ენის კვირეულს სკოლის ათივე რეგიონულ სასწავლო ცენტრში, სადაც გაიმართება თავისუფალი გაკვეთილები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებების კითხვას დაეთმობა. (ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, გარდაბანი, ლამბალო, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ლაგოდეხი და ახმეტა).**



დედა ენის კვირეულში სკოლის მსმენელებთან ერთად ჩაერთვებიან ადგილობრივი ანსამბლები და მოწვეული სტუმრები.

დედა ენის კვირეულის მიზანია ქართული ენის სწავლების პოპულარიზაცია და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში. ასევე სკოლის მიზანია, სტუმრებს გავაცნოთ ჟვანიას სკოლის საქმიანობის შედეგები.

## ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ნიამორი გამოჩნდა

**გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცხოველი ლაგოდეხის ნაკრძალში ერთ-ერთმა ფოტო-მახემ გადაიღო.**

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ფოტო მახეები CNF-ის (CNF 2 Caucasus Nature Fund) მხარდაჭერით, ჯიხვის აღრიცხვისთვის დაყენდა.

პროექტს დაცული ტერიტორიების სააგენტო NACRES-თან (NACRES/ნაკრესი) ერთად ახორციელებს.

ნიამორი საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველია და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ისტორიაში პირველად ნიამორი გამოჩნდა.



## რძის პროდუქტები მოტეხილობებისგან დაგიცავთ



**ამერიკელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ საშუალო ასაკის ადამიანებმა დღეში მინიმუმ სამი ულუფა რძის პროდუქტი უნდა მიიღონ, რათა ძვლები უფრო გაუმკვრივდეთ და მოტეხილობისგან თავი დაიცვან.**

მეცნიერთა თქმით, ამისთვის მათ ნაყინი და ნაღები ვერ დაეხმარებათ, რადგან ეს პროდუქტები კვებით ღირებულებებს ნაკლებად შეიცავს. ამის გარდა ნაყინი და ნაღები ხელს უწყობს სისხლში ცხიმისა და შაქრის მომატებას.

3212 ადამიანის გამოკითხვამ აჩვენა, რომ უმჯობესია, ავირჩიოთ დაბალცხიმიანი რძე და რძის პროდუქტები. მათში ბევრია ცილა, კალციუმი, 3 ვიტამინი და ცოტაა გაჯერებული ცხიმი. მსგავსი რაციონი აფერხებს ოსტეოპოროზის განვითარებას, რომელიც დამახასიათებელია ძვლის სიმკვრივის დაბალი მაჩვენებლისთვის.

ამ პრობლემას მსოფლიოში მილიონობით ხანდაზმული ადამიანი აწყდება. სტატისტიკის მიხედვით 50 წლის ასაკის ზევით მქონე ყოველ მეორე ქალსა და ყოველ მეხუთე მამაკაცს ძვლების გათხელების მიზეზით ხშირი მოტეხილობები აღენიშნებათ.

## ეროვნული კინოცენტრის კონკურსი მესამედ ტარდება

**უკვე რამდენიმე დღეა საქართველოში ანიმაციური ფილმების ფრანგი პროდიუსერი ოლივიე კატერინი იმყოფება.**

იგი ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით ეროვნულ კინოცენტრში ვორქშოპებს ატარებს.

ვორქშოპებს ეროვნული კინოცენტრის, ანსის და ნიქოზის კინოფესტივალების ერთობლივი კონკურსის გამარჯვებული 5 პროექტის ავტორები ესწრებიან.

პარასკევს, 14 აპრილს ეროვნულ კინოცენტრში ვორქშოპის მონაწილეები მათ პროექტებს




წარუდგენენ ოლივიე კატერინს.

რჩეული პროექტის ავტორი კი ზაფხულში საფრანგეთში ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრება.

ეროვნული კინოცენტრის, ანსისა და ნიქოზის კინოფესტივალების ერთობლივი კონკურსი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის განვითარებაზე წელს მესამედ ტარდება.

პირველ წელს გამარჯვებული ანა ჩუბინიძე გახდა, რომელმაც ანსიში ცნობილი ანიმაციური ფილმების სტუდიის „ფოლიმაჟი“ დაინტერესება შეძლო და სწორედ ასე შეიქმნა პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია ანიმაციაში „ჯიბის კაცი“.

კონკურსის შარშანდელი გამარჯვებულები კი ტატო კოტეტიშვილი და სანდრო ქათამაშვილი წარმატებით აწარმოებენ მოლაპარაკებებს ფრანგ პროდიუსრებთან.

კონკურსის წლევანდელი გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, ოლივიე კატერინი მას უკვე ანსის კინოფესტივალზე წარსადგენად მოამზადებს.

# არ დაივიწყოთ სიკეთისთვის გადადგმული ნაბიჯი

**მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში დაიდგა ცნობილი მწერლის რეზო მიშველაძის, პიესა „არ დამივიწყო“. იგი მწერლის რამდენიმე მოთხრობის გაერთიანებით სპეციალურად ამ თეატრისთვის შეიქმნა. მისასალმებელია, რომ უკვე მივიწყებას მიცემული აფხაზეთის ომის ტრაგედია ახალგაზრდა თაობას კვლავ შეახსენეს. ბატონ რეზოსთვის ეს თემა ორმხირვაა აქტუალური. ერთი მხრივ ქვეყნის ოკუპირების საკითხი, რომლის შესახებაც იგი ყოველთვის მკვეთრად გამოხატავდა თავის პოზიციას. მეორე მხრივ კი პირადული ტკივილი, რომელიც ამ ომში, მისი ვაჟის აჩიკოს დაღუპვასთანაა დაკავშირებული.**

პიესა უფრო ლიტერატურული საწყისისკენ იხრება. პიესისთვის დამახასათებელი მოქმედ პირთა ქმედითი დიალოგების ნაცვლად ვხედავთ გმირთა მონოლოგებს, რაც სპექტაკლის მოქმედებას მონოტონურს ხდის. სპექტაკლში კი მწერლის თხრობა მინიმუმამდე დაყვანით სცენურ მოქმედებაში უნდა გადაზრდილიყო. პროლოგსა და ფინალში მწერლის მონოლოგის გარდა დანარჩენ ეპიზოდებში თხრობითი ფორმა უნდა შეცვლილიყო დიალოგებითა და მოქმედებით, რაც სპექტაკლს მეტ ელფერს შესძენდა.

სცენოგრაფმა ნ. ჩიტაიშვილმა სრულიად თეთრი ფერის გარემო შექმნა. სცენაზე მდგარი ხე სიცოცხლის სიმბოლოდ აღიქმება, სიღრმეში კი ვაგონი მოჩანს, საიდანაც მწერალს თავისი წარსულის პერსონაჟები ეცხადებიან და მათთან საუბარკამათში აღადგენს ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას.

სპექტაკლი იწყება მწერლის მონოლოგით დაღუპული შვილის შესახებ და ამ ტრაგედიით გამოწვეული განცდებით. მსახიობი პავლე ნოზაძე დიდი ემოციით წარმოსახავს გოჩა კილაძის შინაგან განცდებს, იმ სულიერ ტრაგედიას, რაც მოუნელებელ ტკივილად გასდევს დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. მსახიობი თავიდანვე გვიჩვენებს გმირის სულიერ განწყობას, რასაც შვილთან საუბრისას მართავს, თუ რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ომში წასვლითა და დაღუპვით. მასში ჩანს მარტოდ დარჩენილი მშობლის უმწეობა, რომელსაც უშვილოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. რა ანუგეშებს გოჩა კალაძეს? ფინალში გამოჩენილი შვილიშვილი (ი. ხვთისიაშვილი), რომ მან უნდა განაგრძოს სამშობლოსთვის თავდადება, მშვიდობა იქნება ეს თუ ომი. თავის გულისტკივილში პ. ნოზაძე გამოჰყოფს თანამედროვე ძნელ დროში ახალი თაობის მიერ სამშობლოსთვის მსახურების აუცილებლობას. მართალია, მან შვილი დაკარგა, მაგრამ პატრიოტული საქმე უნდა გაგრძელდეს. მის შინაგან განცდაში შიშიც, ოპტიმიზმიც და სიამაყეც იკითხება. მსახიობი პოლიფონიურად გადმოსცემს ამ განცდების მართებულად წარმოჩენას და თავიდან განცდილი უიმედობა რწმენით ევსება.

მსახიობი ვახტანგ ნოზაძე ახალგაზრდა გოჩას ასახიერებს. იგი მოქმედებაში კარპე გეწაძესთან საუბრისას ერთვება. ამ ეპიზოდში მსახიობს დრამატურგიულად საშუალება როლის განვითარებისას ეძლევა. იგი ცდილობს, რომ კარპესადმი თანაგრძნობა და მხარდაჭერა გამოხატოს, რაც დიალოგის მანძილზე შინაგანად არ მზადდება, თუმცა მსახიობის ემოცია გულწრფელია.მეორე ეპიზოდში, როდესაც უცნობი ავადმყოფი ქალი ურეკავს და შველას სთხოვს, ერთმანეთს ხელს უშლის ახალგაზრდა გოჩა კალაძისა და ხანდაზმული გოჩას ერთდროული ჩართვა, რითაც გოჩა კალაძის შეფასებების სრულყოფილად ჩვენება ვერ ხერხდება. მსახიობი ვ. ნოზაძე ცდილობს, აჩვენოს გმირის ლტოლვა ხანდაზმული ქალის მხარდასაჭერად — შინაგანი განცდა მისი სატელეფონო დიალოგის საჭიროებისა, ავადმყოფის სულიერად გასამხნევებლად. მას უჭირს, მეუღლეს აუხსნას თავისი განცდები, ვინაიდან შიშობს, რომ ვერ გაუგებს. მისთვის მთავარია, საკუთარ თავთან იყოს მართალი, რომ ყველაფერი ილონა, რაცკი შეეძლო. ამიტომაც გოჩას ნელისთან ცეკვის წარმოსახვა, არის მათი სულიერი ერთობისა და ნელის გადარცვალების სიმბოლოც.

ნანა ლეჟავა ნელის სახეში გადმოსცემს მარტოსული ავადმყოფი ქალის დრამას. იგი ცხოვრებამ დაღალა, არც არავინ ზრუნავს მასზე და აღიზიანებს, როდესაც კარგად გახდომის იმედს აძლევენ. მსახიობი ნ. ლეჟავა კარგად გადმოსცემს გმირის ამ სულიერ ცვალებადობასა და განსხვავებულ შეგრძნებებს.

რა ურთიერთგაგებაც მყარდება გოჩასა და ნელის შორის, მსგავსი ურთიერთობა არ არის გოჩასა და მის მეუღლე ლილისთან. ქეთევან ქიტიაშვილის გმირი თითქოს ყურადღებიანი მეუღლეა, მაგრამ არ ესმის გოჩასა და ნელის საუბრების, რაზეც თავიდანვე ეჭვიანობს, დასცინის კიდეც მეუღლის თანაგრძნობასა და განცდებს ავადმყოფი ქალის მიმართ.ისინი გაუცხოვებულნი რჩებიან ერთმანეთის მიმართ, რადგან ლილის არ ძალუძს, გაუგოს მეუღლის შეხედულებებს და ვერ თანაუგრძნობს მომაკვდავი ქალის განცდებს.

ლილი მსახიობ ანა ხუროშვილის შესრულებით მშვიდი ხასიათისაა, ნაკლებად ამჟღავნებს ემოციებსა და განცდებს. თითქოს ვერ ამჩნევს ქმრის ცვლილებებს და შესაფერის მომენტს ელოდება, როდესაც გოჩასა და ნელის საუბარს შეესწრება.მისთვის მთავარია, გაიგოს გოჩას უყვარს თუ ებრალება მომაკვდავი ქალი, რაც მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამიტომ შემრიგებლური ტონით ეუბნება: მაპატიე, ალბათ, ძალიან დაგღალა ჩემმა მეუღლურმა ცნობისმოყვარეობამ... მეც არ შემეძლო სხვანაირად...

გოჩა კალაძის გაუნელებელი ტკივილი მისი დაღუპული შვილი ბაჩააა, რომელთანაც სულიერი დიალოგი აქვს. ვანო დუგლაძის ბაჩა გმირულ პათეტიკას მოკლებული ახალგაზრდა, მაგრამ შემართული ხასიათისაა, რომელმაც იცის, რისთვისაც მიდიოდა წინასწარ განწირულ



ომში. თუმცა ბოლოს გულგატეხილი რჩება, ვინაიდან ვერავინ დაინახა მისი თაობის თავგანწირვა.ამიტომაც ჟღერს მისი სიტყვები დრამატულად: „ჩემი სიცოცხლე ხომ მე მეკუთვნოდა მამაჩემო, როგორც მინდოდა, ისე გავხარჯე. რად უნდა ამას ამდენი მოთქმა და ზარი. იგი შეურაცხყოფილიცაა, რომ რომანტიკული ბრძოლის ნაცვლად მისი თანატოლები მოტყუებული დარჩნენ, მაგრამ ღირების შენარჩუნება მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა, რომ მწერალი მამის ჩრდილქვეშ არ დარჩენილიყო.

კარპე გეწაძე მსახიობ ნუგზარ ყურაშვილის შესრულებით მიზანსწრაფული, ძლიერი პიროვნული თვისებებით აღსავსე ადამიანია.

მსახიობ ვახტანგ ახალაძის შესრულებით კარპე ჯერ შეტევით იწყებს საუბარს ბავშვის დაბადების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით, მაგრამ მერე ჩაფიქრდება, ხვდება ასე ჯიქურ საწადელს ვერ მიაღწევს და მშვიდად იწყებს თავის ცხოვრების მოყოლას. ტირის კიდევაც შვილებისა და შვილიშვილების ხსენებაზე და ძალიან განიცდის მარტოდ დარჩენას.კარპე უფრო სენტიმენტალურია და შექმნილი ვითარებიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. ამიტომაც პირდება მას გოჩა დახმარებას.

გოჩა კალაძის ერთ-ერთი მოგონება თამარ შავყულაშვილის ამბავთანაა დაკავშირებული.მსახიობი ნაირა გელაძე გადმოსცემს ომში ქმარდაკარგული, 40 წლის მანძილზე მარტოდ მყოფი, მაგრამ მაინც მომლოდინე მოხუც ქალს. მისი განცდები დაკავშირებულია ლევანას დანახვის, გაცნობისა და მხოლოდ სამდღიანი ქორწინების რომანტიკულ განცდასთან, ქმრის ომში წასვლისა და დაღუპვის სინანულთან, მაგრამ იმედიან მოლოდინთან.

თამარ შავყულაშვილი ლელა მახნიაშვილის შესრულებით უფრო აქტიური, შინაგანად ძლიერი ქალია, რომელიც იმედიანადაა განწყობილი.

სპექტაკლი თემის გარდა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ შედგა თეატრისა და ცნობილ მწერალთან თანამშრომლობა. ბატონი რეზო თავის განცდებს არ გამოხატავს, არავის ახვევს თავს საკუთარ გულისტკივილს, მაგრამ ნაწარმოებში ამ შინაგან დრამას განზოგადებულად გვიჩვენებს. ეს გახლავთ თეატრში მწერლების მოზიდვისა და თანამედროვე ნაწარმოებების დადგმის კარგი თანხვედრა, რასაც შემდგომი გაღრმავება სჭირდება, რათა თეატრმა უკეთ შეძლოს მომავალ თაობასთან დიალოგის წარმართვა, მისი მისწრაფებების, ინტერესების გამოხატვა და პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბება.

**გუგაზ მეგრელიძე**

## ქართველო, გცკიოდეს სამშობლოს იარა!..

### ქართულ გენს

აღარც ცოტნეა, აღარც თევდორე,
აღარც ერეკლე, აღარც ილია,
ქართულო გენო, იმძლავრე, თორემ
ლამის იმედი სულ დაილია.

### როცა სამშობლო დაკარგულია

მალე მაისიც კარს მოგვადგება,
თითქოსდა, უკვე გაზაფხულია,
მაგრამ საშველი აღარ გვადგება
და გული ისევ დაზაფრულია.

ისევ სხვისია გაღმა ენგური
და სამაჩაბლოც მტერთა გულია,
რა გაზაფხული, რის გაზაფხული,
როცა სამშობლო დაკარგულია!

### ქართველო, გახსოვდეს!

ქართველო, გახსოვდეს
სიკვდილი კი არა,
არამედ სიცოცხლე,
ნაღდი და ნათელი.

ქართველო, გტკიოდეს
სამშობლოს იარა,
ქართველო, გიყვარდეს
მოძმე და ქართველი.

ქართველო, გახსოვდეს,
მედროშე შენია,
ფაშიზმის ჭირისგან
მსოფლიოს მხსნელია.

### ვედრება

ღმერთო, ჩემს ხალხს
ნუ დატოვებ უპატრონოს,
ნუ დატოვებ
უჭმელ-უსმელს, უექიმოს.
ნეტა, ვინმემ
ნაც-ზანდასაც უპატრონოს,
ნეტა, ვინმემ
„ცნობილ გიჟსაც“ უაქიმოს!

### ერისკაცი თუ არ მოვა

დღე მიდის და ღამე მოდის,
ერის საქმე არ გამოდის,
ერისკაცი თუ არ მოვა,
ერის საქმე არ გამოვა.

ბევრის მნახველს, ბევრის მომსწრეს
ვერაფერი გამიგია,
„დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია.“

დღეს ცხოვრება ასე არი,
„ზოგის ზამბა ჩხრიალებსო,
ზოგს კაკალი ხმელ ფიცარზე
არც კი გაუხრიალებსო“.
ბევრის მომსწრეს, ბევრის მნახველს,
წუთისოფლის მჯერა, განა?
„თაფლში ურევს მწარე ნაღველს,
მტრისას მისი გამოცანა“.

დღე მიდის და ღამე მოდის,
ერის საქმე არ გამოდის,
არც გამოვა, არც გამოვა,
ერისკაცი თუ არ მოვა!

### პენსიონერის გულისწყრომა

„დაგავიწყდათ“ პენსიებზე „წამატება“,
შუბლის ძარღვიც გაიწყვიტეთ?
ამას ჰქვია ქვეყნის წინსვლა, წარმატება?
ენა მაინც ჩაიწყვიტეთ!

### ჩვენ მეორე არ გვინდა!

ჩვენ მეორე რუსთაველიც არ გვინდა,
არცა ვაჟა, არცა გალაკტიონი,
არც სადმეა სხვა, მეორე მთაწმინდა,
არც სხვა მტკვარი, არც სხვა კავკასიონი.

იყო გლოვაც, სისხლის წვიმაც გვაწვიმდა,
მაგრამ ფარად გვედგა კავკასიონი,
რომ არასდროს არ დაგვეთმო მთაწმინდა,
მტკვარი, შოთა, ვაჟა, გალაკტიონი!

### არ შემძულდები

მერე რაა, რომ შენ არ გიყვარვარ,
მე ხომ მიყვარხარ, ეს მთავარია,
მერე რაა, რომ ჩემი არა ხარ,
მე ხომ შენი ვარ, ეს მიხარია.



ჩემი სუნთქვა ხარ,
ჩემი სულთქმა ხარ,
სულ სხვაა შენი ოქროს
ხუნდები,
არ მეფერები, მაინც
მიყვარხარ,
რომ მომკლა, მაინც
არ შემძულდები!

**გურამ ჭავჭანიძე.**
23.03.17

წინ, საქართველო!

რაგბი ჩვენი თამაშია!

# ფინალში - ზედიზედ მესამედ

**საფრანგეთში** დასასრულს მიუახლოვდა რაგბი ევროპის 18-წლამდელთა ღია ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით თამაშობს საქართველოს ნაკრები. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა" მეოთხედფინალში კანადას სძლიეს, ნახევარფინალში კი იაპონიას დააყრევინეს ფარ-ხმალი და ზედიზედ მესამედ გავიდნენ მსგავსი შეჯიბრების ფინალში.

მატჩი საქართველოს ნაკრების (გიორგი ასათიანი, კონსტანტინე მარჯანიშვილი, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, ოთარ ძაგნიძე, თედო აბჟანდაძე, საბა ხურცილავა. ლუკა ჭელიძე, სოსო ჭყოიძე, ლუკა აზარიაშვილი, ლუკა გელაშვილი, საბა ჯღარკავა, რატი ჟორჟოლიანი, ბექა ყორიაული, გიგი ლეშკაშელი. გიორგი ახალაძე, ვანო პარკაძე, გია ხარაიშვილი, ნიკა წივწივაძე, კობა კოლოტაური, მიხეილ ალანია, რევაზ ხარაზიშვილი, ლევან ნარიმანიძე, ირაკლი სიმსივე, იოანე იაშალაშვილი, გოჩა ჩანადირი, მთავარი



მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილი) იერიშებით დაიწყო. ჩვენმა ბიჭებმა, ფაქტობრივად, ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე. ამ შეხვედრაში ქართველებმა ექვსი ლელო გაიტანეს, საიდანაც ორი გიგი ლეშკაშელის, ხოლო თითო ოთარ ძაგნიძის, კონსტანტინე მარჯანიშვილის, საბა ხურცილავას და ლევან ნარიმანიძის ანგარიშზეა. თედო აბჟანდაძემ ერთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა, გიორგი ასათიანმა კი ერთი ზუსტი საჯარიმო დარტყმა და ორი გარდასახვა მიითვალა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა იაპონიის გუნდი 42:17 (15:3) დაამარცხა და 15 აპრილს ფინალში საფრანგეთს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში პორტუგალია დაჯაბნა – 47:0. ბრინჯაოს მედლებისთვის იაპონია და პორტუგალია იბრძოლებენ.

**ლექსო ცინცაძე**

დაე, ილაპარაკონ...



**ჩვენში ჩასაფრებულებსა და ბოლმით მოქილიკეებს რა გამოლევთ. რა ამბავი ატეხეს, იტალიამ სამადლოდ გაგვათრია ფუტსალში ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის პლეი-ოფშიო – დორბლებს ყრიან ზოგ-ზოგიერთები.**

# არის ასეთი გუნდი,
## ანუ ისინი ტაბლოთი საუბრობენ

ერთი შეხედვით, „რკინის ლოგიკით" მსჯელობენ ისინი – საშინაო ელიტრაუნდი ხომ მოუგებლად დავასრულეთ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სამივე მეტოქე საერთაშორისო რეიტინგში „ჯვაროსნებზე" უკეთეს პოზიციას იკავებს, თანაც „სკუადრა აძურა" სულაც კონტინენტის ორგზის ჩემპიონი (2003, 2014 წწ.)და ამჟამად მე-3 გუნდია (მსოფლიოში მე-5). სხვათა შორის, აპენინელებს ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოვუქაჩეთ - 2:2 (თოდუა, კაკაბაძე), რაც, დაგვეთანხმებით, ავთანდილ ასათიანის შეგირდთა ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს.

შეგახსენებთ, რომ უკვე შორეული 1982 წლის „მუნდიალი" მომავალმა ტრიუმფატორმაც (ბედის ირონიით – იტალიამ) სამი ჯგუფური ფრეთი დაიწყო. ასე რომ...

დავძენთ, რომ პლეი-ოფის კენჭისყრა 6 ივლისს მოეწყობა, თვით ბრძოლები სექტემბერში გაიმართება, ხოლო კონტინენტურ ფორუმს გაისად ზაფხულში სლოვენია უმასპინძლებს.

**კობა კობახიძე**

წყალბურთი

# ქართველებმა ლიგა ღირსეული მარცხით დაასრულეს

**მსოფლიო** ლიგა, „ოლიმპიკის" აუზი.

**საქართველო-იტალია 12:13 (2:2, 4:4, 4:4, 2:3)**

**საქართველო:** ირაკლი რაზმაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (2), რევაზ იმნაიშვილი, ანდრია ბითაძე (2), მარკო ელაჩა (3), გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია (2), ზურაბ რურუა (3), კონსტანტინე გეგელაშვილი, ნიკა შუშიაშვილი, გიორგი წულუკიანი, ბექა კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი, მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე.

**იტალია:** ჯანმარკო ნიკოსია, ფრანჩესკო დი ფულვიო (2), ჯაკოპო ალეზინი (1), ანდრეა ფონდელი (2), ედუარდო დი სომა, ვინჩენცო დოლჩე, ალესანდრო ველოტო (1), ვინჩენცო რენზუტო (2), ედუარდო მანცი (4), ლორენცო ბრუნი (1), ტომაზო ბუსილაჩი, ფრანჩესკო დე მიქელისი, მთავარი მწვრთნელი ალესანდრო კამპანია, მწვრთნელი ამადეო პომილიო.

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიო ლიგის ევროპულ ჯგუფში მეორედ იასპარეზა. 2016-2017 წლების გათამაშებაში ჩვენმა გუნდმა C ჯგუფში იტალიასა და რუსეთთან ერთად ორწრიან ტურნირში ითამაშა და ბოლო ტურში სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ



იტალიას უმასპინძლა. ეს შეხვედრა „ოლიმპიკის" აუზში გაიმართა. პირველი მატჩი რომში აპენინელთა გამარჯვებით დასრულდა – 14:5. ამჯერად მასპინძლები სარევანშოდ იყვნენ განწყობილი, მით უმეტეს, რომ სტუმართა გუნდში ახლა თაობათა ცვლა მიდის და ბევრი ახალგაზრდა ცდიდა ძალებს. მეორე წუთზე ანგარიში რომის „ვის ნოვაში" მოთამაშე ბითაძემ გახსნა, მაგრამ სტუმრებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. მერე ელაჩამ (ისიც იტალიის სერია A-ში გამოდის – „სპორტმენეჯმენტის" ღირსებას იცავს) დააწინაურა საქართველოს ნაკრები, მაგრამ პირველი რვაწუთიანი მონაკვეთის ბოლომდე ფონდელიმ მეორე ბურთი გაიტანა რაზმაძის კარში. მეორე-მესამე პერიოდებიც თანაბარ ბრძოლაში გაილია – ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან - მეორე. ბოლო პერიოდის მე-4 წუთზე სტუმრები ორი ბურთით დაწინაურდნენ – 13:11. დარჩენილ დროში ქართველებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს და ჯგუფში ზედიზედ მეოთხე მატჩი დათმეს - 12:13.

**ლაშა დიდია**

ჩემპიონთა ლიგა

# ბომბები - გერმანიაში, მეხი - იტალიაში

**სამშაბათი საღამო დორტმუნდში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა დაჩრდილაო, – იუწყებოდნენ მთელი ღამის განმავლობაში საინფორმაციო საშუალებები. მართლაც, ძნელია „ბორუსიას" ავტობუსის სიახლოვეს აფეთქებულმა ერთბაშად სამმა (!) თვითნაკეთმა ბომბმა და ხელში მასპინძელთა ესპანელ მცველ მარკ ბარტრას დაჭრის ფაქტმა გულგრილი დატოვოს ვინმე, მაგრამ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იტალიაში დადგმულმა საფეხბურთო სპექტაკლმა გულშემატკივრებს ხასიათი მაქსიმალურად გამოუკეთა.**

**„იუვენტუსი" – „ბარსელონა" 3:0 (პირველი ტაიმი 2:0)**

გოლები: დიბალა (2), კიელინი.

აქამდე ამ მეტოქეთა შორის გამართულ შვიდ შეხვედრაში კატალონიელებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ: 3 – გამარჯვება, 2 – ფრე და 2 – მარცხი. „ბებერ ქალბატონს" რევანშზე ზრუნვაც მართებდა შარშანწინდელ ფინალში გაწბილების გამო - 1:3.

გასათვალისწინებელია აპენინელთა ლეგენდარული მეკარის ჯანლუიჯი ბუფონისა და მის პარტნიორ მცველთა შესანიშნავი თამაშის ფაქტორიც – კერძოდ, „ჯიჯის", რომელსაც შთამბეჭდავი კარიერის განმავლობაში ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი ჯერჯერობით ერთხელაც არ მოუგია, მიმდინარე გათამაშებაში, ჯგუფური რაუნდის ჩათვლით, მხოლოდ ორი გოლი აქვს გაშვებული, თანაც, მისთვის აქამდე არასდროს გაუტანია ბურთი ადამიან-გოლ მესის. დაგვეთანხმებით, საამაყო მონაგარია.

თვით მატჩმა დაადასტურა, რომ მასიმილიანო ალეგრის მიერ შეკრული ტურინული ანსამბლი საფუძვლიანად ითვლება წლევანდელი ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად. მეტიც, „სერია-ა"-ს უკონკურენტო ლიდერი ისეთი სრულფასოვანი შემსრულებლებით გამოირჩევა, ძალაუნებურად ამავე კლუბის შეუდარებელ – გასული საუკუნის 80-იანი წლების თაობას გაგახსენებს კაცს, როცა ზოლიანი მაისურებით ძოფი, შირეა, კაბრინი, ტარდელი, პლატინი, როსი, ბეტეგა და ბონეკი ბრწყინავდნენ.

დაბოლოს, იმ კითხვის შესახებ, ინტენსიურად რომ გაისმის საფინალო სასტვენის შემდეგ: რამდენად შესწევთ ლუის ენრიკეს შეგირდებს მორიგი სასწაულის მოხდენის უნარი. თეორიულად, რასაკვირველია, გამორიცხული არაფერია, მაგრამ, ხომ იცით, ერთი რაღაცა ორჯერ არ ყვავდება. თუმცა, ვინ იცის...

**გიორგი შოთაძე**



კალათბურთი

# დასავლეთში პლეი-ოფის გუნდები დაწყვილდნენ

**გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ხუთი შეხვედრა გაიმართა.**

რასელ უესტბრუკის გარეშე მოასპარეზე „ოკლაჰომამ" გასვლაზე „მინესოტა" 100:98 დაამარცხა. რასელმა მიმდინარე სეზონში შეხვედრა პირველად გამოტოვა. გავრცელებული ინფორმაციით, მან უბრალოდ დასვენება ამჯობინა. ოლადიპომ მატჩის დასრულებამდე 3 სამით ადრე ორქულიანი ჩააგდო და გუნდს გამარჯვება მოუტანა. „ოკლაჰომამ" უესტბრუკის არყოფნაში გუნდური კალათბურთი ითამაშა და ექვს კალათბურთელს 10 და მეტი ქულა ჰქონდა. მათ შორის ყველაზე მეტი – 20 ქულა ოლადიპოს ანგარიშზეა.

დასავლეთ კონფერენციაში პლეიოფის წყვილები ცნობილია. ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტი" „პორტლენდს" შეხვდება, „სან ანტონიო" „მემფისს" დაუპირისპირდება, „ჰიუსტონი" – „ოკლაჰომას", „კლიპერსი" – „იუტა ჯაზს".

აღმოსავლეთ კონფერენციაში ორი საპლეიოფო წყვილია ცნობილი, ორიც ხვალ გაირკვევა. „ტორონტო" – მილუოკი" და „ვაშინგტონი" – „ატლანტა".

**ვიტალი ჯაფარიძე**



# გზადაგზა ნაპოვნი სურათები

## გაზაფხული ავტობუსში

ავტობუსი იგოეთთან ჩერდება. წინა კარიდან ქალ-ვაჟი ამოდის. „აბა, უკან, უკან ჩაიწიეთ!“.. — ბრძანებს მძღოლი და ისინიც — აწითლებულნი, ჯინსებში კოხტად გამოკვართულნი — უხმოდ ემორჩილებიან ბრძანებას. გოგონას მინდვრის ყვავილების ფერადი თაიგული მკერდში ჩაუხუტებია და ნება-ნება ყნოსავს, ახედავს ვაჟს, გაუღიმებს, სასოებით მიაყრდნობს მკერდზე თავს და ასე დგანან — გატრუნულნი. ვაჟი უკოცნის თმებს, ღავწებს — ვითომ მალულად, ვითომ დაფარულად — მაინც ყველა ხედავს... გაზაფხულის სურნელი დგას ავტობუსში, საცაა მცხეთაში შევალთ...



## მეტროს ვაგონში...

— დავდე, ქალო, ერთი წუთით ჩანთა, ტყემალზე შევევაჭრე... მოვიხედე და სადღაა ჩანთა... ნაყიდები, ყველაფერი წაუღია ვიღაცას!..

არ შეარგოს ღმერთმა!.. ორი კილო ხენდრო ვუყიდე ბავშვებს სიმწრით!..

— ეეეე... რა გიკვირს, საია... ადამიანობა რომ დავკარგეთ, ახლა მიხვდი?! დაიმშა ხალხი და ყველაფერს კადრულობს... ნუ მაწვები კაცო... ცოტა თავი შეიკავე!

— გაწვები, თორემ, დიდი სახარბიელო ვინმე ხარ! მე სხვა მაწვება! ვერ ხედავ, „შპროტებივით“ რომ ვართ ჩაწყობილი ვაგონში!

— კარგი, რა!..

## დამოუკიდებლობის დღე

— გაიარა, გაიარა!.. დამოუკიდებლად გაიარა! — თვალებანთებული შემოდის ოთახში იამზე, მკერდში ციცქნა ვაჟიშვილი ჩაუკრავს, თვალებს უკოცნის: „გენაცვალოს დედა!.. გენაცვალოს დედა!“

— სად გაიარა, სად!.. — აღტაცებას ვერ ფარავს ჩვენი ძმაკაცი, ოჯახის უფროსი, რომელმაც ახლახან განსხვავებული სასმისით შეგვასვა 26 მაისის სადღეგრძელო.

— თავის ოთახში იატაკზე დამჯდარი დავტოვე სათამაშოებთან, შევიხედე ახლა და კედელ-კედელ დადიოდა... რომ დამინახა ხელებგამოშვერილი წამოვიდა ჩემსკენ!

— აბა, ჩამოსვი... გამოუშვი... მოდი, ნიკა, მოდი!.. ბაბუ გენაცვალოს!..

ნიკა ჯერ ეშმაკური ღიმილით გვათვალიერებს მაგიდის წევრებს, მერე რამდენიმე გაუბედავ ნაბიჯს დგამს, წონასწორობას ძლივს იცავს და ბაბუამისს მუხლებზე ეხუტება.

— ყოჩაღ, ბაბუ, ყოჩაღ!.. მოდით, ძმებო, ნიკას დამოუკიდებელ ნაბიჯებს გაუმარჯოს, ია-ვარდი ჰფენოდეს გზა-სავალზე!.. ხომ ნახეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დამოუკიდებლად გაიარა ჩემმა შვილიშვილმა!.. სვამს ჩვენი თამადა და თან ოქროსფერ კულულებზე ეფერება შვილიშვილს.

## „რა იქნება – ეს ქვეყანა ერთიანად გაახარო!..“

აი, უბედურება დღევანდელი საქართველოსი: შემოჟრიამულდნენ, შემოცქრიალდნენ მეტროს ვაგონში ცეროდენა გოგო-ბიჭები — საზეიმოდ დავარცხნილ-გაკოხტავებულნი, ახალ სასკოლო ფორმებში თავმომწონედ გამომზირალნი.

კისკისებენ, ხმაურობენ, იკლებენ იქაურობას სკოლაში გატარებული პირველი დღის შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს...

...მეორე მხრიდან მათი ტოლ-სწორი ორი ბიჭუნა მოძვრება ხალხში. ისინი ხელგაშვერილნი მოწყალებას ითხოვენ, ხან ერთ მგზავრს მიაპყრობენ მავედრებელ მზერას, ხან — მეორეს.

ზოგი ჯიბეს იჩხრეკს, ზოგი უხერხულად იშმუშნება, ზოგიც „ტექნიკურად“ ერიდება პატარა მათხოვრებს და თავის გასაჭირზე ფიქრობს...

## საბა

ახალგაზრდა ქალს მუხლებზე უზის ორიოდე წლის ოქროსფერთმიანი ბუთხუზა ბიჭი და დროდადრო ტუჩებით ყურისძირში ეფერება. გვერდით მამაკაცი გატრუნულია. იგი, ეტყობა, შეზარხოშებულია და ცდილობს, არ შეიმჩნიოს — ხანდახან ბიჭს გადახედავს და თვალს ჩაუკრავს — ნურას უკაცრავად: ბიჭუნა გაბუსული ზის და შიგადაშიგ მოწყალედ თუ შეაჩერდება შეზარხოშებულს.

— თქვენია? — კითხულობს კაცი.

— დიახ.

— ღმერთმა გაგიზარდოთ... რამდენი გყავთ?!

— ჯერჯერობით, ეს, — მორცხვად ეღიმება ქალს.

— რა ჰქვია?..

— საბა.

მამაკაცს სიხარული და გაკვირვება ერთად უთამაშებს სახეზე.

— ყოჩაღ... ვინ მოინდომა ამ სახელის დარქმევა?!

— მეუღლემ.

— შენს კარგ მეუღლეს გადაეცი, გაზაფხულზე სულხან-საბა ორბელიანის სამშობლო — ტანძია მოატაროს პატარა საბას. იცით, რა ლამაზია გაზაფხულზე ტანძია?! ერთი, თუ ძმა ხარ, მანდ შეაჩერე, მგონი, გავცდით კიდეც ჩემს კორპუსს! — მძღოლს მიმართავს კაცი, მერე დედაშვილს ემშვიდობება, საბას მგზავრობისა და გაცნობის ფული გადახდილიაო, უბარებს დედას, მოფერებით, ნაზად ჩქმეტს ლოყაზე ბიჭს, გაისად ამ დროს, სულხანთან ერთად შემხვედროდიო, და მიკროავტობუსიდან კმაყოფილი ჩადის.

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

**თინათინ კანკავა და ანზორ ბაბუხადია ოჯახით უთანაგრძნობენ გუჩა, მარიკა და თეონა დათუნაიშვილებს მეუღლისა და დედის, უსათნოესი ქალბატონის**

**ლუიზა**

**ინწკირველი-დათუნაიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**თემურ ჯორბენაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი**

**კონსტანტინე**

**ჭიჭინაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი**

**კონსტანტინე**

**ჭიჭინაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

# უბედური შემთხვევა ჭიათურაში

**სამთო გამამდიდრებელ კომბინატში მუშა კიბიდან ჩამოვარდა და დაიღუპა.**

**მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დარღვევას ითვალისწინებს.**



---

**სანთელი**

## ვიგონებთ გივი ბერიკაშვილს

# მშვიდობით, კომისარო!



**მთელმა საქართველომ იცის, რომ ბატონი გივი ბერიკაშვილი იყო განუმეორებელი და ჭეშმარიტი სახალხო ხელოვნების ქურუმი. ამ წერილში ჩვენ მის დამსახურებებს ერისა და ხალხის წინაშე არ ჩამოვთვლით.**

**ბატონი გივი ორი ათეული წელია, საქართველოს ნარდის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი და როგორც ქალაქის, ასევე რესპუბლიკური ტურნირების მუდმივი კომისარი გახლდათ.**

**მისი თაოსნობით ჩატარებულ შეჯიბრებებზე მუდმივად ნახავდით ხალხმრავლობას, მუდამ სიამოვნებას გგვრის მასთან ნარდის თემაზე კურიოზული შემთხვევების გახსენება, სამახსოვრო ფოტოების გადაღება.**

**აქ წარმოდგენილ ფოტოზე ასახულია 2016 წლის თბილისობის დღესასწაულზე გივი ბერიკაშვილის პაექრობა.**

**ნარდი ხალხისთვის საყვარელი სპორტია, იგი მიეკუთვნება საქართველოს არაოლიმპიური სპორტის სახეობათა კომიტეტს.**

**ბატონი გივის გარდაცვალება როგორც ქართველი ხალხისთვის, ასევე ჩვენთვის დიდი დანაკლისია.**

**ამიტომ არაოლიმპიური სპორტის სახეობათა ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ნარდის ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყდა, ბატონი გივის უკვდავსაყოფად საქართველოსა და თბილისის სპორტის კალენდარში ადგილი დაიდოს მისი სახელობის ტურნირმა. ყოველწლიურად ტურნირი 15 მაისს ჩატარდება ბ-ნი გივის დაბადების დღეს.**

**ჯამლეტ ხუხაშვილი,**
**საქართველოს არაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი;**

**თეიმურაზ ქურციკიძე,**
**საქართველოს ნარდის ასოციაციის პრეზიდენტი.**

---

# სასცენო მოღვაწეობა სოხუმიდან დაიწყო...

**83 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავი გივი ბერიკაშვილი, მარადისობას, ზეციურ საქართველოს შეუერთდა კიდევ ერთი ღირსეული ხელოვანი, ყველა თაობის საყვარელი მსახიობი.**

**კინოსა და თეატრში გამორჩეული ნიჭითა და შემოქმედებითი მრავალფეროვნებით შესრულებული რამდენიმე ათეული როლისთვის გივი ბერიკაშვილს მიღებული ჰქონდა არაერთი სახელმწიფო პრემია. იგი იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემიის ლაურეატი.**

**გივი ბერიკაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია 1956 წელს, საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ს. ჭანბას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრის სცენაზე დაიწყო. აქ განასახიერა მან თავისი პირველი როლები, რითიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოხუმის თეატრის განვითარებაში. ყოველთვის დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებდა იქ გატარებულ წლებს, დევნილებთან ერთად ოცნებობდა აფხაზეთის დაბრუნებაზე...**

**გივი ბერიკაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული თეატრისთვის, ქართული კინოსთვის, მისი შემოქმედების გულშემატკივართათვის, მთელი საქართველოსთვის.**

**უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს.**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.**

---

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, თეატრისა და კინოს გამოჩენილი მოღვაწე**

**გივი ბერიკაშვილი**

**და ღრმა მწუხარებას უცხადებს დაუვიწყებელი შემოქმედის ოჯახს.**

# ვულოცავთ!



დღეს, 13 აპრილს, 65 წელი შეუსრულდა ცნობილ ეკონომისტს, საყოფაცხოვრებო დარგის დამსახურებულ მუშაკს, შესანიშნავი ქართული ოჯახის თავკაცს, სამეგობროს ღირსეულ წევრს, პატიოსნებით, ვაჟკაცობით, მოყვასის სიყვარულით გამორჩეულ ძმასა და მეგობარს ვახტანგ შალვას ძე ჯოხაძეს.

ვულოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს და ვუერთდებით მიმლოცველ მეგობართა და ახლობელთა დიდ არმიას.

ბადრი ბარკალაია, გელა ეჯიბია ოჯახებით

# პური ქრონიკულ დაღლილობას იწვევს

**ცნობილი ამერიკელი კარდიოლოგი უილიამ დევისი ამტკიცებს, რომ თანამედროვე პურ-ფუნთუშეული ადამიანებში ქრონიკულ დაღლილობასა და გონებრივ ჩამორჩენას იწვევს.**



სპეციალისტის აზრით, დაღლილობის გამომწვევი გენმოდიფიცირებული ცილაა, რომელსაც ხორბლის სხვადასხვა სახეობა შეიცავს. ის ასევე ახდენს ჭარბი წონის პროვოცირებასაც. დევისის თქმით, თანამედროვე ხორბლის სახეობები სრულიად განსხვავდება 50 წლის წინანდელი მარცვლეულისგან. მისივე მტკიცებით, ხორბლის შემადგენლობაში შედის გლიადინის ცილა, რომელიც ტვინზე ზემოქმედებს და მადას აღვიძებს. შედეგად ადამიანი მეტ კალორიას იღებს, ვიდრე სჭირდება და წონაში იმატებს.

დევისის აზრით, უმჯობესია, პურ-ფუნთუშეულის მოხმარება მნიშვნელოვნად შევზღუდოთ, ან რაციონიდან საერთოდ ამოვიღოთ.

## ინტერნეტიდან

# ავსტრიელი ლამაზმანი – რონალდუს მკლავებში?

**ევროპაში ხმა გავარდა, პორტუგალიელმა კრიშტიანუ რონალდუმ, როგორც იქნა, გულის სწორს მიაგნო და ახლა ის დროა, მასზე მონადირე ქალებმა „ხმლები“ ქარქაშებში ჩააგონ და მუხთალი წუთისოფლის მიერ მიძღვნილ უიღბლობასა და კაეშანს შეეგუონო.**

ბევრი კი იძახის, ეს ამბავიც მორიგი ჭორია და კრიშტიანუ კვლავ ქორბუდა ირემივით მარტოსული დაიარებაო, მაგრამ რონალდუს ბედს ისეთ კოხტა და ამაღელვებელ ასულთან აკავშირებენ, რომ ადამიანს ძალაუნებურად და ნამეტნავად გინდება, ეს ამბავი ჭეშმარიტება იყოს.



როგორც ევროპის ბულვარული მედია გვამცნობს, პორტუგალიელი მეგოლის რჩეული ახალგაზრდა ავსტრიელი მოდელი ლივ ლიტეკია, რომელიც ესპანეთში მოღვაწეობს და თავის საქმეში საკმაოდ წარმატებულიცაა. აქამდე კრიშტიანუს სულ შავგვრემანი ქალები იზიდავდა და ვითომ გემოვნება ასე მკვეთრად შეეცვალა? მოდი და იტეხე ახლა თავი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

# ლონდონში უპილოტო ავტობუსმა დაიწყო მუშაობა

**ბრიტანეთის სატრანსპორტო ლაბორატორიამ ლონდონში უპილოტო საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოცდა დაიწყო.**




3 კვირის განმავლობაში ავტობუსი მგზავრებს გრინვიჩის რაიონის მარშრუტზე მოემსახურება.

ექსპერიმენტულ სატრანსპორტო საშუალებას Harry უწოდეს და მას ერთდროულად 4 მგზავრის გადაყვანა შეუძლია.

Harry კურსირებას მთლიანად ავტონომიურ რეჟიმში ახდენს.

# ჯორჯ ქლუნმა მეზობლები დასასვენებლად გაამგზავრა

**ჰოლივუდის ვარსკვლავ ჯორჯ ქლუნს და მის მეუღლეს თავიანთ რეზიდენციაში რემონტი აქვთ და, როგორც ჩანს, მეზობლები ძალიან შეაწუხეს.**



ჭუჭყი, მტვერი, ხმაური, სატვირთო მანქანებისა და ტრაქტორების გამუდმებული მისვლა-მოსვლა, აუტანელი გახდა მათთვის. ამიტომ ქლუნებმა, მეზობელი წყვილი თავდაპირველად ფეშენებელურ სასტუმროში გადაიყვანეს. ახლა კი კუნძულ კორფუზე მილიონ დოლარად ღირებული ვილა უქირავეს და დასასვენებლად გაუშვეს, კომპენსაციის მიზნით კი 56-ათასი დოლარი გადაუხადეს.

ქლუნებმა რემონტი 2015 წელს დაიწყეს. რეზიდენციაში კეთდება კინოთეატრი, ჩოგბურთის კორტი, საცურაო აუზი, მიწისქვეშა სარწყავი არხები.

როგორც ჩანს, მეზობლებს კიდევ დიდხანს მოუწევთ დასვენება.

# ელისაბედ მეორის სეხნია სპილო



**ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ და მისმა მეუღლემ — ედინბურგის ჰერცოგმა ახლადგახსნილი სპილოების ზოოპარკი მოინახულეს. ვიზიტის დროს დედოფალს 8 თვის, ინდოეთიდან ჩამოყვანილი სპილო გააცნეს, რომელსაც მონარქის საპატივცემულოდ მისი სახელი დაარქვეს.**

პატარა სპილო 2016 წელს ჩამოიყვანეს , დედოფლის 90 წლის იუბილის პატივსაცემად.

დღეს ზოოპარკში 9 აზიური სპილო ბინადრობს. მათზე ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოება ზრუნავს. დედოფალი ამ ზოოპარკის დიდი მფარველი და დამხმარეა.

# კაცების ჟურნალმა „FHM“ 2017 წლის სექსუალური ქალი დაასახელა

**31 წლის მსახიობი ჟაკლინ ფერნანდესი მამაკაცების ჟურნალმა „FHM“-მა ყველაზე სექსუალურ ქალად დაასახელა.**



ლამაზმანი 1985 წელს მანამაში (ბაჰრეინი) დაიბადა. მისი მამა შრილანკელია, დედა კი მალაიზიელი. თუმცა მშობლებთან ერთად ინდოეთში ცხოვრობდა.

იგი 14 წლიდან მონაწილეობდა სხვადასხვა შოუებში, შემდეგ კი შრილანკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ეროვნული სილამაზის კონკურსის გამარჯვებული გახდა. ამის შემდეგ ლამაზმანმა წარმატებული სამოდელო კარიერა შეიქმნა. შეისწავლა ესპანური, ფრანგული და არაბული ენები.

შემდეგ ისევ ინდოეთში დაბრუნდა და ცნობილი მსახიობიც გახდა. 2014 წელს ინდოეთში „წლის ქალის“ წოდება მიენიჭა. ის აქტიურად იცავს ცხოველთა უფლებებს და ეწევა ქველმოქმედებას.

მოამზადა
**რუსუდან ქოზულიამ**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001


**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.4097; ევრო - 2.5579;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9938;
100 რუბლი - 4.2322; თურქული ლირა - 0.6484;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4494;
1000 სომხური დრამი - 4.9480.

**ამინდი 13 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +4 | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე 0, | დღე +18 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +9, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +2, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე +6, | დღე +18 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge